სლავოი ჟიჟეკი

ძალადობის შესახებ

მთარგმნელი: ალექსანდრე წურქავა
რედაქტორი: მაია ბარქაია

შესავალი. ტირანის სისხლიანი სამოსი

არსებობს ერთი ძველი ისტორია ქურდობაში ეჭვმიტანილ მუშაზე: ყოველ საღამოს, როდესაც იგი ქარხანას ტოვებდა, ურიკას, რომელსაც წინ მიაგორებდა, ყურადღებით უმოწმებდნენ, თუმცა ვერაფერს პოულობდნენ, ის ყოველთვის ცარიელი იყო. საბოლოოდ, სიმართლეს ფარდა აეხადა: მუშა ურიკებს იპარავდა.

თუკი არსებობს რაიმე საერთო თეზისი ძალადობის შესახებ, ის ძალიან პარადოქსული იქნება. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ძალადობა დაკავშირებულია დანაშაულთან და ტერაქტებთან, აღარაფერს ვამბობ მასშტაბურ ომებზე. უნდა ვისწავლოთ განდგომა, დისტანცირება ამ ცნობიერად ჩადენილი "სუბიექტური ძალადობისაგან." ძალადობისაგან, რომელიც ჩადენილია რომელიმე მკვეთრად გამოხატული სუბიექტის მიერ. უნდა დავადგინოთ ძალადობრივი აქტების გამომწვევი მიზეზები. დისტანცირება საშუალებას გვაძლევს შევიცნოთ ძალადობა, რომელიც ჩვენ მიერ მასთან ბრძოლასა და ტოლერანტობის გავრცელებას ეყრდნობა.

ეს არის მოცემული ნაშრომის საწყისი წერტილი, ან შესაძლოა აქსიომაც კი: "სუბიექტური ძალადობა" მხოლოდ ყველაზე მეტად ხილული წვერია სამკუთხედისა, რომელიც სხვა ორი სახის ძალადობასაც შეიცავს. პირველი, "სიმბოლური ძალადობა," გამოხატული ენასა და მის ფორმებში - ის, რასაც ჰაიდეგერი ჩვენი "ყოფიერების სახლს" უწოდებდა. ძალადობის ეს ფორმა მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ სიძულვილის ენასა და ურთიერთობებში არ გვხვდება. მეორეში, მე მას "სისტემურ" ძალადობას ვუწოდებ, ხშირად ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირების კატასტროფული შედეგები იგულისხმება.

არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია ერთი კუთხიდან აღიქვა სუბიექტური და ობიექტური ძალადობები: სუბიექტური ძალადობა ასეთი სახით მხოლოდ არაძალადობრივი ნულოვანი დონის ფონზე აღიქმება. ის გვეჩვენება საგნების ნორმალური, მშვიდობიანი განლაგების დარღვევად. თუმცა, ობიექტური ძალადობა ზუსტად საგნების "ნორმალურ" განლაგებაში არსებულ ძალადობას შეიცავს. ობიექტური ძალადობა უჩინარია, რადგან იგი ეყრდნობა ნახსენები ნულოვანი დონის სტანდარტს, რის წინააღმდეგაც ჩვენ სუბიექტური ძალადობა უკვე აღქმული გვაქვს. აქედან გამომდინარე, სისტემური ძალადობა სახელგანთქმულ "ბნელ მატერიას" ჰგავს და სუბიექტური ძალადობის დამატებას წარმოადგენს. ის შესაძლოა არ ჩანდეს, მაგრამ ახსნას უძებნის იმას, რაც სუბიექტური ძალადობის ირაციონალურ აფეთქებას ჰგავს.

როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სხვადასხვა ადგილას არსებული "ჰუმანიტარული კრიზისებით" გვბომბავენ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონკრეტული კრიზისი დიდი ბრძოლის შედეგად მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ. ხშირ შემთხვევაში, კულტურული, იდეოლოგიურ-პოლიტიკური და ეკონომიკური თავისებურებები თავად ჰუმანიტარულ მიზეზებზე დიდ როლს თამაშობენ. მაგალითად, ჟურნალ "Time-ის" 2006 წლის 5 ივნისის ნომრის მთავარ სტატიას "მსოფლიოში ყველაზე მომაკვდინებელი ომი" ერქვა. მასში საუბარი იყო გასული დეკადის განმავლობაში, კონგოში, პოლიტიკური ძალადობის შედეგად ოთხ მილიონამდე ადამიანის სიკვდილზე. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მკითხველის წერილს, ამ თემამ ჰუმანიტარული რეზონანსი არ გამოიწვია. თითქოს რაღაც საფილტრაციო სისტემამ ეს ამბავი ჩვენს სიმბოლურ ცნობიერებაში არ შემოუშვა. ცინიკურად თუ ვიტყვით, "Time"-მა ტრაგედიებზე ჰეგემონიისათვის ბრძოლაში არასწორი მსხვერპლი გამოიყენა. საჭირო იყო ჩვეული ეჭვმიტანილებისათვის

მიემართათ: მუსლიმი ქალები და მათი მძიმე ყოფა, ან ვთქვათ როგორ ეგუებიან დანაკარგს 11 სექტემბრის ტრაგედიის მსხვერპლთა ოჯახები. მასმედიისათვის უსახელო კონგოელზე ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე პალესტინელი ბავშვის სიკვდილია, აღარაფერს ვამბობ ებრაელ, ან ამერიკელ ბავშვზე.

არის კიდევ საჭირო მტკიცებულებები, რომ პოლიტიკური აზრი ადამიანური გრძნობების დეტერმინაციას განაპირობებს? ამ მოსაზრების გასაგებად საკითხს სხვა კუთხიდან უნდა შევხედოთ. ამერიკული მასმედია სხვა ქვეყნების მედიასაშუალებებს 11 სექტემბრის ტრაგედიისადმი თანაგრძნობის ნაკლებობის გამო საყვედურობდა. ჩნდება ცდუნება გამოვიყენო რობესპიერის ციტატა, რომლითაც მან რევოლუციური ტერორის უდანაშაულო მსხვერპლებზე მოსაუბრე ადამიანებს მიმართა: "შეწყვიტეთ ჩემ თვალწინ ტირანის სისხლიანი სამოსის ფრიალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიფიქრებ, რომ თქვენ რომის ჯაჭვებში ჩასმა გსურთ." [1]

ჩემი აზრით, თუ ძალადობას პირდაპირ შევხედავთ, ის ძალიან მისტიკური იქნება: ძალადობრივ ქმედებათა საზარელი რაოდენობა და მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობა აზროვნების უნარს გვიფერხებს. ძალადობის ტიპოლოგიაზე მიუკერძოებელი, კონცეპტუალური თხრობა არ უნდა ამახვილებდეს ყურადღებას მის ტრავმატულ შედეგებზე. მიუხედავად ამისა, ძალადობის მშრალი ანალიზი გარკვეულ მომენტში მაინც ახდენს მის რეპროდუქციასა და კოშმარში მონაწილეობას. ასევე აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ "ფაქტობრივი სიმართლე" და "ჭეშმარიტება." გაუპატიურების მსხვერპლის მიერ მოთხრობილ ამბავს (ან სხვა, ნებისმიერი ტრავმატული ისტორია) ჭეშმარიტს ხდის მისი ფაქტობრივი შეუსაბამობა, გაურკვევლობა, არათანმიმდევრულობა. მსხვერპლს რომ შეეძლოს დეტალურად, თანმიმდევრულად გადმოსცეს გადამხდარი დამამცირებელი ისტორია, ჩვენ მის ჭეშმარიტებაში ეჭვი შეგვეპარებოდა. პრობლემა გამოსავლის შემადგენელი ნაწილია: ტრავმირებული სუბიექტის მონაყოლში არსებული ფაქტობრივი ნაკლოვანებები მიუთითებენ მონაყოლის ჭეშმარიტებაზე, შინაარსმა თხრობის მანერის კონტამინირება მოახდინა. იგივე შეიძლება ითქვას ჰოლოკოსტს გადარჩენილთა მონათხრობზეც: თვითმხილველი, რომელიც შეძლებს ბანაკის გამოცდილების დეტალურ გადმოცემას, მოახდენს საკუთარი თავის დისკრედიტირებას.[2] ჩემი საკითხის მიმართ ერთადერთ მართებულ მიდგომას წარმოადგენს ის, რომელიც ძალადობაზე ვარირების საშუალებას იძლევა, ამავდროულად საკმაო დისტანციას იჭერს მსხვერპლებთან.

ადორნოს ცნობილი აფორიზმი დაზუსტებას საჭიროებს: ოსვენციმის შემდეგ, შეუძლებელია არა პოეზია, არამედ პროზა.[3] პოეზიისაგან განსხვავებით, რეალისტურ პროზას არ ძალუძს ბანაკის აუტანელი ატმოსფეროს შექმნა. არ შემეშინდება შემდეგი ნაბიჯის გადადგმა და ძველი აფორიზმის გახსენება, რომლის თანახმადაც, თუკი სიტყვები არ მოქმედებენ, საქმეში მუსიკა ერთვება. შესაძლოა გავრცელებული წარმოდგენა, რომ შიონბერგის მუსიკა ისტორიული წინათგრძნობით ოსვენციმის კოშმარებს შეიცავდა იქამდე, სანამ ის მოხდებოდა, სულაც არ არის ჭეშმარიტებას მოკლებული.

მოდი, დავფიქრდეთ "გადაუდებელი აუცილებლობის ყალბ გრძნობაზე," რომლითაც გაჟღენთილია ძალადობაზე მიმართული მემარცხენე ლიბერალური ჰუმანიტარული დისკურსი: მასში აბსტრაქცია და გრაფიკული (ფსევდო)რეალობა თანაარსებობენ ქალებზე, შავკანიანებზე, უსახლკაროებზე, ჰომოსექსუალებზე და ა.შ. მიმართული ძალადობრივი სცენების აღწერისას. "ჩვენს ქვეყანაში ყოველ ექვს წამში ქალს აუპატიურებენ" და "სანამ პარაგრაფს ბოლომდე წაიკითხავთ, ათი ბავშვი შიმშილით მოკვდება" მხოლოდ ორი მაგალითია. ეს ყველაფერი დაფუძნებული არის მორალური აღშფოთების ფარისევლურ გრძნობაზე. რამდენიმე წლის წინ

"Starbucks"-მა ზუსტად ამგვარი ფსევდო-გადაუდებლობა გამოიყენა სათავისოდ, როდესაც შენობის შესასვლელში გამოკრული პოსტერებით მომხმარებელს აცნობა, რომ მოგების ნაწილი მათი ყავის მარცვლების მომწოდებელ გვატემალაში, ბავშვთა ჯანდაცვას მოხმარდებოდა. აქედან გამომდინარე, ფიქრობდი, რომ ყოველი ჭიქის დალევისას გვატემალელი ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნავდი.

ამ დაჟინებულ ბრძანებებში გამოსჭვივის ღრმად ანტითეორეტიკული გზავნილი. არ არის დრო განსჯისათვის: ჩვენ *ახლავე* უნდა ვიმოქმედოთ. გადაუდებელი აუცილებლობის ყალბი გრძნობის წყალობით იზოლირებულ, ვირტუალურ სამყაროში მცხოვრები პოსტინდუსტრიული ფინანსური ელიტა არა თუ არ უარყოფს მათი ტერიტორიის გარეთ არსებულ მძიმე რეალობას, არამედ ხშირად საუბრობს მასზე. როგორც ბილ გეითსმა თქვა: "რა აზრი აქვთ კომპიუტერებს, როდესაც მარტივად განკურნებადი დიზენტერია მილიონობით ადამიანს კლავს?"

ყალბი აუცილებლობის წინააღმდეგ შეგვიძლია გამოვიყენოთ 1870 წელს, მარქსის მიერ ენგელსისადმი მიწერილი წერილი. იმ პერიოდში იყო მოლოდინი, რომ ევროპას რევოლუცია უახლოვდებოდა. მარქსის წერილი პანიკას გადმოსცემდა: არ შეეძლოთ რევოლუციონერებს რამდენიმე წელი მოეცადათ? მას "კაპიტალზე" მუშაობა ჯერ არ ჰქონდა დასრულებული.

გლობალური კონსტელაციის კრიტიკული ანალიზის მიხედვით, იგი არ შეიცავს რაიმე ნათელ გადაწყვეტილებას, "პრაქტიკულ" რჩევას, არ მიუთითებს გვირაბის ბოლოს ნათელზე, აანალიზებს, რომ არსებობის შემთხვევაში, გვირაბის ბოლოს ნათელი შესაძლოა ჩვენკენ მომავალი მატარებელი იყოს. ანალიზი ეჩეხება წინააღმდეგობას: "რის თქმა გინდათ, არაფერი ვიღონოთ? უბრალოდ ვისხდეთ და ველოდოთ?" საჭიროა გამბედაობის მოკრება და პასუხის გაცემა: "დიახ, ზუსტად ასეა!" ხანდახან ერთადერთი პრაქტიკული ქმედება არის მოთმინებით ლოდინი, კრიტიკული ანალიზით დაკავება. ჩვენ კი ყოველი მხარე მოქმედებასა და ჩართულობას გვთხოვს. ჟან-პოლ სარტრი, ცნობილ ფრაგმენტში ნაშრომიდან "ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია," აღწერს 1942 წლის საფრანგეთში ახალგაზრდა მამაკაცის ვალდებულებათა დილემას, დახმარებოდა მარტოხელა დაავადებულ დედას, თუ გაწევრიანებულიყო ფრანგულ წინააღმდეგობაში. რა თქმა უნდა, სარტრის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ამ დილემის წინაშე აპრიორი არჩევანი არ არსებობს. ახალგაზრდა მამაკაცმა საკუთარ სიღრმისეულ თავისუფლებაზე დაყრდნობით უნდა გააკეთოს არჩევანი და მასზე სრული პასუხისმგებლობა აიღოს.[4] მესამე გამოსავალი იქნებოდა ახალგაზრდა მამაკაცს დედისათვის ეთქვა, რომ წინააღმდეგობას უერთდებოდა და წინააღმდეგობის წევრებისათვის ეთქვა, რომ დედასთან რჩებოდა; რეალურად კი განმარტოვებულიყო და სწავლით დაკავებულიყო.

მესამე გამოსავალი მეტია, ვიდრე იაფფასიანი ცინიზმი. მახსენდება ძველი საბჭოური ანეკდოტი ლენინზე. ცნობილია, რომ ლენინი ახალგაზრდებს "სწავლას, სწავლასა და სწავლას" ურჩევდა. ამ ლოზუნგს გამუდმებით მიმართავდნენ და იგი ყველა სკოლის კედელზე ეწერა. ახლა კი, ანეკდოტი: მარქსს, ენგელსსა და ლენინს ეკითხებიან, რომელი ურჩევნიათ ჰყავდეთ, ცოლი თუ საყვარელი. ინტიმურ საკითხებში კონსერვატორი მარქსი პასუხობს, "ცოლი!" ბონვივანად ცნობილი ენგელსი საყვარელს ირჩევს. ყველასათვის გასაოცრად ლენინი ამბობს: "მე ორივე მინდა!" რატომ? ნუთუ ასკეტი რევოლუციონერის უკან დეკადენტი სენსუალისტი (*jouisseur)* იმალება?[5] სულაც არა. ლენინი ხსნის: "ამგვარად შემეძლება ცოლს ვუთხრა, რომ საყვარელთან მივდივარ. საყვარელს კი ვუთხრა, რომ ცოლთან უნდა გავატარო დრო..." "შემდეგ?" "მივდივარ განცალკევებულ ადგილას რათა ვისწავლო, ვისწავლო და ვისწავლო!"

განა ასე არ მოიქცა ლენინი 1914 წლის კატასტროფის შემდეგ? შვეიცარიაში განმარტოვდა და "სწავლობდა, სწავლობდა და სწავლობდა," ეცნობოდა ჰეგელის ლოგიკას. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ დღეს, როდესაც ძალადობის ამსახველი კადრებით გვბომბავენ. უნდა "ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ", რათა გავიგოთ ამ ძალადობის გამომწვევი მიზეზები.

1. Adagio ma non troppo e molto espressivo: SOS! ძალადობა!

ძალადობა: სუბიექტური და ობიექტური

1922 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ მოწინავე ანტიკომუნისტი ინტელექტუალები: ფილოსოფოსებითა და თეოლოგებით დაწყებული, ეკონომისტებითა და ისტორიკოსებით დამთავრებული, ქვეყნიდან გააძევა. გემს, რომლითაც ისინი რუსეთიდან გერმანიისკენ გაემგზავრნენ, სიმბოლურად *ფილოსოფიური გემი* ეწოდა. ნიკოლაი ლოსსკი იძულებით ემიგრაციაში წასვლამდე, ოჯახთან ერთად მსახურებით გარშემორტყმული, მსხვილი ბურჟუას ცხოვრებას ეწეოდა. მას უბრალოდ არ ესმოდა, თუ ვის შეეძლო მისი ცხოვრების სტილის დანგრევა. რა დააშავეს ლოსსკიებმა და მსგავსებმა? მისმა ვაჟებმა და მეგობრებმა მემკვიდრეობით მიიღეს საუკეთესო, რაც რუსეთს შეეძლო შეეთავაზებინა, წინ წამოწიეს საუბრები ლიტერატურაზე, მუსიკაზე, ხელოვნებაზე. ისინი წყნარ ცხოვრებას ეწეოდნენ. რა იყო ამაში ცუდი?[1]

ეჭვგარეშეა, რომ ლოსსკი გულწრფელი და კეთილი ადამიანი იყო, ნამდვილად ზრუნავდა გაჭირვებულებზე და ცდილობდა რუსული ცხოვრების ცივილიზებას. თუმცა მისი პოზიცია მიუთითებს სისტემური ძალადობის მიმართ საოცარ გულგრილობაზე, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამგვარი კომფორტული ცხოვრების წარმართვა. საუბარია სისტემაში არსებულ ძალადობაზე: არამხოლოდ ფიზიკური, არამედ უფრო დახვეწილ ფორმაშიც არსებული ძალადობა, რომლითაც იკვებებოდა ბატონური და ექსპლუატატორული ურთიერთობები. ლოსსკისა და მისნაირებს ნამდვილად არაფერი დაუშავებიათ. მათ ცხოვრებაში არ იყო სუბიექტური ბოროტება, არსებობდა მხოლოდ ამ სისტემური ძალადობის უჩინარი ფონი. "შემდეგ, მოულოდნელად, თითქმის პრუსტისეულ სამყაროში შემოიჭრა ლენინიზმი. ანდრე ლოსსკის დაბადების დღეზე, 1917 წლის მაისში, მის ოჯახს იქვე, ივანოვსკის ქუჩიდან უმხედროდ მოჯირითე ცხენების ხმა შემოესმა."[2] ამგვარი ბოროტი თავდასხმების რიცხვმა იმატა. ერთხელ სკოლაში ლოსსკის შვილს მწარედ დასცინა კლასელმა მუშის ოჯახიდან, ის მას უყვიროდა, რომ მისი და მისი ოჯახის დღეები დათვლილი იყო. უდანაშაულო ლოსსკებისათვის ეს არსაიდან მომავალი კატასტროფის მანიშნებელი იყო. მთავარი კი ისაა, რომ ისინი ვერ იგებდნენ, თუ რატომ იღებდნენ მათ მიერ გაგზავნილ, დადებითი მნიშვნელობის მქონე შეტყობინებებზე პასუხად ირაციონალურ, სუბიექტური ძალადობას. "არსაიდან მოსული" ძალადობის ცნება შესაძლოა მივუსადაგოთ იმას, რასაც ვალტერ ბენიამინი საკუთარ "ძალადობის კრიტიკაში" წმინდა, ღვთიურ ძალადობას უწოდებს.[3]

ფიზიკურიდან (მასობრივი მკვლელობები, ტერორი) დაწყებული იდეოლოგიურით დამთავრებული (რასიზმი, სიძულვილის ენა, სქესობრივი დისკრიმინაცია), ძალადობის ნებისმიერ

ფორმასთან ბრძოლა წარმოადგენს გამეფებული ლიბერალური მიდგომის მთავარ საზრუნავს. სიგნალი SOS-ის მნიშვნელობა განზე აყენებს სხვა მიდგომებს: ყველაფერმა დანარჩენმა უნდა მოიცადოს... ხომ არ არის რაღაც საეჭვო, სიმპტომური იმაში, რომ მთელი ყურადღება სუბიექტურ ძალადობაზეა მიპყრობილი? ძალადობაზე, რომელსაც სჩადიან სოციალური აგენტები, ბოროტი ინდივიდები, დისციპლინირებული რეპრესიული აპარატები, ფანატიზმით შეპყრობილი ბრბოები. ხომ არ ჰგავს ეს გულმოდგინე მცდელობას, ჩვენი მხედველობის არეალიდან სხვა ყველა ძალადობის ფორმის გაქრობით, გადაიტანოს ჩვენი ყურადღება პრობლემის რეალური წყაროდან და შედეგად აქტიურად ჩაერთოს ძალადობის ამ ფორმების განხორციელებაში? ერთი ცნობილი ანეკდოტის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელი ოფიცერი პიკასოს მის პარიზის სტუდიაში ეწვია. მან იქ "გერნიკა" დაინახა და ნახატის მოდერნისტული ქაოსით განცვიფრებულმა პიკასოს ჰკითხა: "ეს თქვენ ჰქენით?" პიკასომ წყნარად უპასუხა, "არა, თქვენ!" დღეს, ბევრი ლიბერალი ძალადობის გამოვლინებების ხილვისას (მაგალითად, როდესაც ხედავს ძარცვას პარიზის გარეუბნებში) ეკითხება რადიკალური სოციალური ტრანსფორმაციის მომხრე მემარცხენეებს: "ეს ხომ თქვენ გააკეთეთ? ეს გინდათ თქვენ?" ჩვენ კი პიკასოს მსგავსად უნდა ვუპასუხოთ: "არა, ეს თქვენ ჰქენით! ეს არის თქვენი პოლიტიკის რეალური შედეგი!"

არსებობს ძველი ანეკდოტი ქმარზე, რომელიც სახლში ჩვეულზე ადრე ბრუნდება და საწოლში ცოლს სხვა კაცთან შეუსწრებს. განცვიფრებული ცოლი ეკითხება: "რატომ დაბრუნდი ასე ნაადრევად?" გაბრაზებული ქმარი სიტყვას აწყვეტინებს: "რას აკეთებ საწოლში სხვა კაცთან ერთად?" ცოლი წყნარად პასუხობს: "მე პირველმა დაგისვი შეკითხვა, ნუ ცდილობ თემის შეცვლას და პასუხზე თავის არიდებას!"[4] მსგავსია ძალადობის შემთხვევაშიც: ამოცანა თემის შეცვლაში მდგომარეობს. უნდა შეიცვალოს ძალადობის შეწყვეტის მოთხოვნით გაკეთებული სასოწარკვეთილი ჰუმანიტარული SOS სიგნალები სხვა SOS სიგნალების ანალიზით. ეს უკანასკნელი ძალადობის სამი ფორმის (სუბიექტური, ობიექტური და სიმბოლური) კომპლექსურ ურთიერთქმედებას წარმოადგენს. გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა ვებრძოლოთ სუბიექტური ძალადობის "ჯადოს", ძალადობისა, რომელსაც სჩადიან სოციალური აგენტები, ბოროტი ინდივიდები, დისციპლინირებული რეპრესიული აპარატები, ფანატიზმით შეპყრობილი ბრბოები: ძალადობის ეს ფორმა სამკუთხედის მხოლოდ მეტნაკლებად ხილული წვერია.

ობიექტური ძალადობის გაგება აუცილებლად ისტორიზებული უნდა იყოს: კაპიტალიზმის ეპოქაში მან ახალი სახე მიიღო. მარქსი აღწერდა კაპიტალის დაუოკებელ, თვითმზარდ ბრუნვას, სოლიფსისტურ თვითგანაყოფიერებას,[5] რომელიც საკუთარ აპოგეას ფიუჩერსებთან დღევანდელ მეტარეფლექსურ სპეკულაციებში აღწევს. ზედმეტად მარტივია იმის თქმა, რომ ამ თვითშობადი მონსტრის აჩრდილი, რომელიც შეუჩერებლად აგრძელებს საკუთარ გზას და არ ინტერესდება ადამიანებითა და გარემოთი, წარმოადგენს იდეოლოგიურ აბსტრაქციას და რომ მის უკან რეალური ადამიანები და ბუნებრივი ობიექტები დგანან, რომელთა პროდუქტიულობასა და რესურსს ეფუძნება კაპიტალის ბრუნვა და რომლითაც ეს ბრუნვა, როგორც გიგანტური პარაზიტი, იკვებება. რეალური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ეს აბსტრაქცია არა მხოლოდ ფინანსური სპეკულანტების მიერ სოციალური რეალობის არასწორ აღქმაში არსებობს, არამედ ის "ნამდვილია," როგორც მატერიალური სოციალური პროცესების სტრუქტურის განმსაზღვრელი: მოსახლეობის ფენების და ხანდახან მთლიანი ქვეყნის ბედი დამოკიდებულია კაპიტალის სოლიფსისტურ სპეკულაციურ მოქმედებებზე, რომელიც მიჰყვება თავის მიზანს ნახოს მოგება, იმის უგულვებელყოფით, თუ რა გავლენას ახდენს მისი მოქმედებები სოციალურ რეალობაზე. მარქსის მიზანი არ არის დაიყვანოს მეორე განზომილება პირველამდე, მისი ამოცანაა დაგვანახოს, რომ საქონლის თეოლოგიური შეშლილი ცეკვა "რეალური ცხოვრების" ანტაგონიზმებიდან ამომდინარეობს. სავარაუდოდ, მისი იდეა არის ის, რომ შეუძლებელია სრულად გაიგო ერთი

(მატერიალური წარმოების სოციალური რეალობა და სოციალური ინტერაქცია) მეორეს გარეშე: ზუსტად ყოვლისშემძლე კაპიტალის მეტაფიზიკური თვითმბრუნავი ცეკვა არის გასაღები როგორც რეალური განვითარებისა, ასევე კატასტროფებისთვის. ამაში მდგომარეობს კაპიტალიზმის ფუნდამენტური სისტემური ძალადობა, გაცილებით საშიში ვიდრე რომელიმე კაპიტალიზმამდელი სოციალურ-იდოლოგიური ძალადობის ფორმა. ამ ძალადობას ვეღარ მივაწერთ რომელიმე ინდივიდს და მის ბოროტ განზრახვებს; ის არის ობიექტური, სისტემური და ანონიმური. აქ ჩვენ ვაწყდებით რეალობასა და რეალურს შორის ლაკანისეულ განსხვავებას: "რეალობა" არის სოციალური რეალობა ნამდვილი ადამიანებისა, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ და ჩართულნი არიან პროდუქციის წარმოებაში. "რეალური" კი არის კაპიტალიზმის დაუნდობელი აბსტრაქტული და ილუზორული ლოგიკა, რომელიც სოციალურ რეალობაში მომხდარს განსაზღვრავს. ეს უფსკრული შესამჩნევი ხდება მაშინ, როდესაც ეწვევით ქვეყანას, რომელშიც აშკარა ქაოსი სუფევს, როდესაც ვხედავთ ადამიანური ტანჯვისა და ეკოლოგიური განადგურების მასშტაბურ სურათს. თუმცა, "ეკონომისტის"ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ქვეყნის ეკონომიკა "ფინანსურად მყარია," რეალობას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარი კაპიტალის მდგომარეობაა.

დღეს ეს განსაკუთრებით მართალია. ნუთუ ფენომენი, როგორც წესი, ვირტუალურ კაპიტალიზმად წოდებული (ფიუჩერსული შეთანხმებები და მსგავსი აბსტრაქტული ფინანსური სპეკულაციები), არ მიუთითებს "რეალური აბსტრაქციის" წმინდა მმართველობაზე, თანაც გაცილებით რადიკალურზე, ვიდრე მარქსის დროს? მოკლედ რომ ითქვას, იდეოლოგიის უმაღლესი მდგომარეობა არ არის მხოლოდ იდეოლოგიური ფორმა და იმის დავიწყება, რომ ის დაფუძნებულია რეალურ ადამიანებზე და მათ შორის არსებულ ურთიერთობებზე. იდეოლოგიის უმაღლესი მდგომარეობა მოჩვენებითად პირდაპირ მიმართულია "რეალურ ადამიანებზე, რეალური პრობლემებით." ლონდონის საფონდო ბირჟაზე სტუმრები იღებენ უფასო ბუკლეტს, სადაც წერია, რომ საფონდო ბირჟა არ არის დაკავებული მისტერიული ცვლილებებით, ის რეალურ ადამიანებზე და მათ პროდუქტებზე არის დაფუძნებული. ეს არის იდეოლოგიის წმინდა განმარტება.

ჰეგელის ფუნდამენტური იდეა არის ის, რომ "ობიექტური" ნამატი აბსტრაქტული ერთობლიობის პირდაპირი სიმდიდრეა, რომელიც ნერგავს საკუთარ კანონს, სრულად უგულებელყოფს მის აბლაბუდაში გამოჭერილ სუბიექტს – ყოველთვის იღებს დანამატს "სუბიექტური" ნამატის სახით – მისი ახირებების არარეგულარული, თვითნებური შესრულებით. ურთიერთდამოკიდებულების მაგალითს ეტიენ ბალიბარი გვთავაზობს. იგი განასხვავებს ჭარბი ძალადობის ორ საპირისპირო, თუმცა ურთიერთშემავსებელ სახეს: "ულტრა-ობიექტური", ან სისტემური ძალადობა, რომელიც ჩვეულია გლობალური კაპიტალიზმის სოციალური კონდიციებისთვის, უსახლკაროებიდან დაწყებული უმუშევრებით დამთავრებული ხელს უწყობს განდგომილი და უსარგებლო ადამიანების "ავტომატურ" ჩამოყალიბებას; და ახალდაბადებული ეთნიკური და/ან რელიგიური, მოკლედ რომ ითქვას რასისტული, ფუნდამენტალისტური ძალადობების შემცველი "ულტრა-სუბიექტური."[6]

სისტემური ძალადობის შედეგების მიმართ ჩვენი მხედველობის უუნარობა სავარაუდოდ ყველაზე აშკარად კომუნისტური დანაშაულებების შესახებ დებატებში იკვეთება. კომუნისტურ დანაშაულებში პასუხისმგებლებს მარტივად ვიპოვით: ჩვენ საქმე გვაქვს სუბიექტურ ბოროტებასთან, ადამიანებთან, რომლებიც ცუდად იქცეოდნენ. ჩვენ დანაშაულების იდეოლოგიური წყაროების იდენტიფიცირებაც შეგვიძლია – ტოტალიტარული იდეოლოგია, "კომუნისტური პარტიის მანიფესტი", რუსო, პლატონიც კი. მაგრამ, თუკი თემა ეხება

კაპიტალისტური გლობალიზაციის შედეგად მილიონით დაღუპულ ადამიანს მეთექვსმეტე საუკუნის მექსიკის ტრაგედიიდან დაწყებული, ერთი საუკუნის წინ ბელგიელების მიერ კონგოში მოწყობილი ჰოლოკოსტით დამთავრებული, პასუხისმგებლობაზე საუბრისგან ხშირად თავს იკავებენ. თითქოს ეს ყველაფერი ობიექტური პროცესის შედეგად მოხდა, რომელიც არავის დაუგეგმავს, არავის შეუსრულებია და თითქოს მას არ გააჩნდა "კაპიტალისტური მანიფესტი." (მის დაწერასთან ყველაზე ახლოს აინ რენდი გახლდათ.)[7] შეუძლებელია იდეოლოგიური ფარისევლობისა და ცინიზმის უბრალო მაგალითად მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ კონგოში მოწყობილ ჰოლოკოსტზე პასუხიმგებელი ბელგიის მეფე ლეოპოლდი იყო დიდი ჰუმანისტი და რომის პაპის მიერ წმინდანად შერაცხული. შესაძლოა ის მართლაც გულწრფელი ჰუმანისტი იყო, უწევდა ზომიერ წინააღმდეგობას კონგოს ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური ექსპლუატაციის შემცველ გლობალურ ეკონომიკურ პროექტს... რომელსაც იგი თავად მართავდა. კონგო მის პირად საკუთრებას წარმოადგენდა! მთავარი ირონია არის ის, რომ ამ წამოწყებიდან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი ბელგიელი ხალხის კეთილდღეობას ხმარდებოდა, საზოგადოებრივ შენობებს, მუზეუმებს და ა.შ. ეჭვგარეშეა, რომ მეფე ლეოპოლდი დღევანდელი "ლიბერალი კომუნისტების" წინაპარი გახლდათ.

სექსუალობა ატონალურ სამყაროში

რომელი ტიპის სექსუალობა უხდება ამ სამყაროს? 2006 წლის 6 აგვისტოს, ლონდონმა უმასპინძლა გაერთიანებული სამეფოს პირველ მასტურბათონს (masturbate-a-thon), კოლექტიური ღონისძიება, სადაც ასობით ქალი და მამაკაცი საკუთარ თავს სიამოვნებას ანიჭებდა ქველმოქმედებისათვის, ფული სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე დაწესებულებებისთვის გროვდებოდა. მათ ასევე აამაღლეს ცნობიერება, მოაშთეს ამ საერთო, ბუნებრივ, უსაფრთხო სქესობრივ აქტივობასთან დაკავშირებული სირცხვილი და ტაბუ. იდეა გაუჩნდა სან-ფრანცისკოში არსებულ სექსუალური დანიშნულების ნივთების მწარმოებელ კომპანია "Good Vibration"-ს. პირველი მასტურბათონის ჩატარება, 1995 წლიდან, მათ მიერვე დაარსებული ეროვნული მასტურბაციის თვის ფარგლებში გადაწყდა. დოქტორი ქეროლ ქვინი გადაწყვეტილებას ასე ხსნის:

> ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც სქესობრივი გამოხატვა ყოველთვის შეზღუდული იყო და კანონი არეგულირებდა, სადაც მხოლოდ სექსუალური სიამოვნების მიღების ძიება მიჩნეულია ეგოისტურად და ბავშვურად. ადამიანებმა, რომლებიც მიიჩნევენ რომ სექსის მიმართ ჩაკეტილები არ არიან, უბრალოდ შეცვალეს ფორმულა "სექსი კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამრავლება არის მიზანი" ფორმულით "სექსი კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით ორი ერთმანეთზე შეყვარებული ადამიანი კავდება". მასტურბაცია ჩვენი სექსუალური აქტივობის პირველი გამოვლინებაა, სიამოვნების მიღების ბუნებრივი წყარო, ხელმისაწვდომი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, კრეატიული თვითგამოხატვის უნიკალური ფორმა. ყოველ ჯერზე როდესაც მასტურბირებთ, თქვენ ადიდებთ საკუთარ სექსუალობას, სიამოვნების მიღების უნარს, ასე რომ გაუწოდეთ ხელი საკუთარ თავს!.. მასტურბაცია შესაძლოა იყოს რადიკალური აქტი და კულტურა, რომელიც მას ებრძვის, შესაძლოა სხვა პირად თავისუფლებებსაც ებრძოდეს. ეროვნულ მასტურბაციის თვეში მონაწილეობისას, თვითსიყვარულის ღია გამოხატვისას, რომ ეროტიკული თავისუფლება აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტი კეთილდღეობისთვის, ყველგან.[8]

მასტურბათონის ჩატარებაში ჩადებული იდეური საფუძველი მის ფორმასა და შიგთავსს შორის არსებული კონფლიქტით ხასიათდება: ის ქმნის კოლექტივს ინდივიდებისაგან, რომლებიც მზად

არიან გააზიარონ საკუთარი სულელური სიამოვნების სოლიფსისტური ეგოტიზმი. თუმცა ეს დაპირისპირება უფრო მეტად მოჩვენებითია, ვიდრე რეალური. ჯერ კიდევ ფროიდმა იცოდა ნარცისიზმსა და ბრბოში ჩაძირვას შორის არსებული კავშირის შესახებ, რომელიც ყველაზე უკეთ გადმოცემულია კალიფორნიული ფრაზით "გამოცდილების გაზიარება." ამგვარი წინააღმდეგობრივი ასპექტების (ნარცისიზმი და ბრბოში ჩაძირვა) თანხვედრა დაფუძნებულია მათ საერთო თვისებაზე, რომელსაც უარყოფა, განდევნა ჰქვია: ადამიანი არათუ შეიძლება იყოს, არამედ აუცილებლად არის მარტო ბრბოში. ინდივიდის იზოლაცია, მისი ბრბოში ჩაძირვა გამორიცხავს ჭეშმარიტ ინტერსუბიექტურობას, სხვებთან შეხვედრას. ზუსტად ამიტომ, ფრანგი ფილოსოფოსი ალენ ბადიუ პირდაპირ ამბობს, რომ დღეს, ჩვენ, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება კონცენტრირება სიყვარულზე და არა უბრალოდ სიამოვნებაზე: ზუსტად სიყვარული, ორთა შეხვედრა გარდაქმნის იდიოტურ მასტურბაციულ სიამოვნებას ჭეშმარიტ მოვლენად.[9] მინიმალური მგრძნობელობაც კი გვამცნობს, რომ *სხვის* წინაშე მასტურბირება გაცილებით რთულია, ვიდრე *სხვასთან* სექსით დაკავება: თავად ფაქტი, რომ *სხვა* "დამკვირვებლის" როლშია, არ იღებს მონაწილეობას, ჩემს აქტს გაცილებით "სამარცხვინოს" ხდის. მასტურბათონის მსგავსი ღონისძიებები ჭეშმარიტი სირცხვილის დასასრულის მანიშნებელია. ეს არის კიდეც ერთ-ერთი ყველაზე აშკარა მაჩვენებელი იმისა, თუ სად ვდგავართ დღეს, ინდიკატორი იდეოლოგიისა, რომელიც მხარს უჭერს ჩვენს ყველაზე ინტიმურ გამოცდილებას.

შეკითხვაზე "რატომ მასტურბირება?" ქუინი პასუხს სცემს მიზეზთა სიით:

- იმიტომ, რომ სექსუალური სიამოვნება ყველა ინდივიდის ფუნდამენტური უფლებაა;
- იმიტომ, რომ მასტურბაცია სრულებით უსაფრთხო სექსია;
- იმიტომ, რომ თვითსიყვარული გამოხატვის სასიამოვნო ფორმაა;
- იმიტომ, რომ მასტურბაციას ჯანმრთელობისათვის დადებითი შედეგები მოაქვს, მაგალითად: მენსტრუალური ტკივილის შემსუბუქება, სტრესის შემცირება, ენდორფინების გამოყოფა, მენჯის კუნთების გამაგრება, მამაკაცებში პროსტატის ალბათობის შემცირება და ქალებში სოკოვან ინფექციასთან ბრძოლა;
- იმიტომ, რომ მასტურბაცია შესანიშნავი კარდიოვასკულარული ვარჯიშია;
- იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი საკუთარი თავის საუკეთესო საყვარელია;
- იმიტომ, რომ მასტურბაცია ამაღლებს სექსუალურ ცნობიერებას.

აქ ყველაფერია: ამაღლებული თვითცნობიერება, სარგებელი ჯანმრთელობისათვის, ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, ყველაზე რადიკალური პოლიტკორექტული პოზიცია (ნათელია, რომ არავინ არის შეურაცხყოფილი), სექსუალური სიამოვნების დამტკიცება მისი ყველაზე ელემენტარული ფორმით - "ყოველი ადამიანი საკუთარი თავის საუკეთესო საყვარელია."

ზოგადად ჰომოსექსუალებისათვის განკუთვნილი ფრაზის გამოყენება (მასტურბაციას "თვითსიყვარული" გამოაქვს კარადიდან (out of closet)) მიანიშნებს შეფარულ მიზანზე თანმიმდევრულად გამოირიცხოს სხვა ყველაფერი: თავდაპირველად, ჰომოსექსუალობაში სხვა სქესი იყო გამორიცხული (ერთი სქესის ორი ადამიანი კავდება სექსით), შემდეგ კი დამცინავი ჰეგელისეული უარყოფის უარყოფით ხდება ზოგადად "სხვისი" უარყოფა: ადამიანი საკუთარ თავთან კავდება სექსით.

2006 წლის დეკემბერში, ნიუ იორკის მმართველებმა განაცხადეს, რომ გენდერის არჩევა და საჭიროების შემთხვევაში სქესის შეცვლის ოპერაციის ჩატარება ადამიანის ერთ-ერთი ხელშეუვალი უფლებაა. მთავარი, ტრანსცენდენტული განსხვავება, რომელიც ადამიანის იდენტობის

საფუძველში დევს, უკვე შეცვლას ექვემდებარება: ამ ტრანსცენდენტული განსხვავების ნაცვლად, ხდება ადამიანობის უკიდურესი პლასტიკურობის მიღება. მასტურბათონი არის სექსუალური აქტივობის იდეალური ფორმა ტრანსგენდერი სუბიექტისათვის, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენთვის, ვინც ჟურნალ "Time-ის" 2006 წლის 18 ნოემბრის ნომრის მიხედვით, წლის ადამიანები გახდით. როდესაც წლის ადამიანის ჯილდო ერგო არა ახმადი ნეჯადს, არა კიმ ჩენ ირს, არა სხვა რომელიმე საეჭვო ბანდის წევრს, არამედ თქვენ, თითოეულ ჩვენგანს, რომელიც იყენებს, ან ქმნის გლობალურ ქსელს. ყდაზე გამოსახული იყო თეთრი კლავიატურა და სარკე მონიტორის ნაცვლად, სადაც ყველა მკითხველს შეეძლო საკუთარი ანარეკლის დანახვა. არჩევანი რედაქტორებმა ახსნეს მოძრაობით ინსტიტუციებიდან ინდივიდებისკენ, რომლებიც ახალ, ციფრულ დემოკრატიაში ხელახლა ყალიბდებიან მოქალაქეებად.

ამ არჩევანში არის კიდევ შესამჩნევი. თუკი შესაძლებელია *იდეოლოგიურ* არჩევანზე საუბარი, მაშინ ახლა არის ზუსტი დრო: მესიჯი - ახალი კიბერდემოკრატია, რომელშიც მილიონობით ადამიანი ერთმანეთს ეკონტაქტება და თვითორგანიზდება ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით – ფარავს დაძაბულობას. ირონიის ყველაზე თვალშისაცემი მაგალითი არის ის, რომ ყველა ვინც "Time"-ის ყდას უყურებს, ხედავს არა სხვა ადამიანს, არამედ საკუთარ ანარეკლს. რა გასაკვირია, რომ კიბერსამყაროს თეორეტიკოსები ხშირად ლაიბნიცს მიმართავენ: ხომ არ თანხვდება ჩვენს კიბერსამყაროში ჩაძირვას ლაიბნიცისეული მონადა,[10] რომელიც მთელ სამყაროს ირეკლავს, მაგრამ არ გააჩნია გარესამყაროსკენ გაღებული ფანჯრები? შესაძლებელია ითქვას, რომ ტიპური ინტერნეტმომხმარებელი, რომელიც ეულად ზის კომპიუტერის ეკრანის წინ, ხშირად ემსგავსება მონადს რეალობისადმი პირდაპირი ფანჯრების გარეშე, საქმე აქვს მხოლოდ ვირტუალურ სიმულაკრებთან და მაინც გლობალურ კომუნიკაციურ ქსელში იმაზე მეტად ჩაძირულია ვიდრე ოდესმე. მასტურბათონი ქმნის კოლექტივს ინდივიდებისაგან, რომლებიც მზად არიან გააზიარონ საკუთარი სულელური სიამოვნების სოლიფსიზმი, ამ სახის სექსუალობა იდეალურად ჯდება კიბერსამყაროს კოორდინატებში.

ალენ ბადიუ[11] ავითარებს ატონალური სამყაროების გაგებას – monde atone - რომლებიც განიცდიან მთავარი სიგნიფიკატის (master-signifier) ინტერვენციის ნაკლებობას, ანუ სუბიექტის, რომელსაც ძალუძს მრავალფეროვანი ჩახლართული რეალობის დალაგება.[12] რა არის მთავარი სიგნიფიკატი?[13] უინსტონ ჩერჩილი საკუთარი მონუმენტური ნაწარმოების "მეორე მსოფლიო ომის" ბოლო გვერდებზე განიხილავს პოლიტიკური გადაწყვეტილების ენიგმას: მას შემდეგ, რაც სპეციალისტები – ეკონომისტები და სამხედრო ანალიტიკოსები, ფსიქოლოგები, მეტეოროლოგები - წარადგენენ საკუთარ, საგულდაგულოდ შემუშავებულ, დეტალურ ანალიტიკურ დასკვნებს, ვინმემ უნდა იკისროს მარტივი და ამავდროულად რთული მისია, თარგმნოს მრავალრიცხოვანი მოსაზრებები ენაზე, გარდაქმნას ეს მრავალფეროვანი კომპლექსური შეხედულებები გადამწყვეტ "კი"-დ ან "არა"-დ. შევუტიოთ, თუ ჯერ მოვიცადოთ? ჯონ ფ. კენედიმ ზუსტად აღწერა საკითხი: "საბოლოო გადაწყვეტილების არსი შეუცნობელია მაყურებლისათვის და ხშირად თავად გადაწყვეტილების მიმღებისთვისაც კი." გადამწყვეტი მოქმედება, რომელიც ვერასდროს იქნება სრულად დასაბუთებული, არის კიდეც *მთავრის* მოქმედება.

ჩვენი პოსტმოდერნული სამყაროს მთავარი თვისება არის ის, რომ იგი ცდილობს გვერდი აუაროს მთავარი სიგნიფიკატის მბრძანებლობას: სამყაროს კომპლექსურობა უდავოდ იყოს მიღებული. ყველა მთავარი სიგნიფიკატი, რომელიც ცდილობს დაამკვიდროს განსაზღვრული წესრიგი ამ სამყაროში, უნდა იქნას დეკონსტრუირებული, უნდა გაქრეს: "სამყაროს კომპლექსურობის თანამედროვე გამართლება მეტი არაფერია თუ არა ატონალურობის საერთო სურვილი." ამგვარი "ატონალური" სამყაროს შესანიშნავი მაგალითი არის პოლიტიკურად კორექტული ხედვა

სექსუალობისა, გენდერული კვლევებით განმტკიცებული, რომელიც დაჟინებით უარყოფს ბინარულ ლოგიკას: ეს სამყარო არის მრავალრიცხოვანი სექსუალური პრაქტიკების ნიუანსირებული სამყარო, რომლისთვისაც არ არის მისაღები ორგვაროვანი გადაწყვეტილება, მაგალითი, შეფასება (ამ სიტყვის მკაცრი ნიცშესეული გაგებით).

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ მიშელ უელბეკის რომანები:[14] ის დაუსრულებლად ვარირებს თანამედროვე დასავლურ საზოგადოებებში სიყვარულის კრახის მოტივით, საზოგადოებებში, რომლებსაც, როგორც ერთმა რეფერენტმა აღწერა: "რელიგიისა და ტრადიციის რღვევა, სიამოვნებისა და ახალგაზრდობის დაუოკებელი კულტი და მეცნიერული რაციონალობითა და სევდით სავსე მომავლის პერსპექტივა ახასიათებს." სწორედ ესაა 1960-იანი წლების სექსუალური რევოლუციის ბნელი მხარე: სექსუალობის სრული გარდაქმნა პროდუქტად. უელბეკი აღწერს სექსუალური რევოლუციის შემდგომ დილას, უნაყოფო მსოფლიო, სადაც ბატონობს სუპერეგოს ბრძანება მიიღო სიამოვნება. უელბეკის მთელი შრომა კონცენტრირებულია სიყვარულისა და სექსუალობის ანატომიაზე: სექსი აბსოლუტური გარდაუვალობაა, მასზე უარის თქმა სიკვდილს ნიშნავს, ამიტომ სიყვარული შეუძლებელია სექსის გარეშე; თუმცა ამავდროულად, სიყვარული შეუძლებელია სექსის გამო. სექსი, რომელიც "გავრცელებულია როგორც გვიანი კაპიტალიზმის ბატონობის თვალსაჩინო გამოხატულება, დეჰუმანიზებული ბუნების ლიბერალური საზოგადოების გარდაუვალი პროდუქტი საკუთარ კვალს ტოვებს ადამიანურ ურთიერთოებზე."[15] დერიდასეული ტერმინებით რომ გადმოვცეთ, სექსი არის სიყვარულის ერთდროულად შესაძლებლობისა და შეუძლებლობის პირობა.

* * *

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც არსებობს ჰეგელისეული სპეკულაციურ წინააღმდეგობათა ერთიანობა. გარკვეული ატიტუდები, წესები, ნორმები აღარ მიეკუთვნებიან რომელიმე იდეოლოგიას. ისინი ნეიტრალურად, არაიდეოლოგიურად, ბუნებრივად, საერთოდ მიიჩნევიან. ჩვენ იდეოლოგიას ვუწოდებთ იმას, რაც არსებული ფონიდან განცალკევებულია: უკიდურესი რელიგიური სიბეჯითე, ან თავდადება რომელიმე პოლიტიკური ორიენტაციის მიმართ. ჰეგელიანური მსჯელობის მიხედვით, უშუალოდ აღქმულ ფონზე გარკვეული მახასიათებლების ნეიტრალიზება წარმოაჩენს იდეოლოგიას მის ყველაზე წმინდა და ეფექტურ ფორმაში. ასე გამოიყურება დიალექტიკური "წინააღმდეგობათა თანხვედრა:" მეტნაკლებად წმინდა სახით გაგების ან იდეოლოგიის აქტუალიზება ემთხვევა მის საწინააღმდეგოს, არაიდეოლოგიას. *Mutatis mutandis*, იგივე ეხება ძალადობას. წმინდა სახის სოციალურ-სიმბოლური ძალადობა საკუთარ საწინააღმდეგოს წარმოადგენს, როგორც ჩვენი საცხოვრებელი გარემოს თვითნებურობა, როგორც ჰაერი რომელსაც ვსუნთქავთ.

ამიტომ შეშინებული, აღტკინებული და ძალადობასთან მებრძოლი ლიბერალი კომუნისტი და გაცოფებული ბრმა ფუნდამენტალისტი არიან ერთი მონეტის ორი მხარე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ებრძვიან სუბიექტურ ძალადობას, ლიბერალი კომუნისტები არიან სტრუქტურული ძალადობის აგენტები, ქმნიან რა პირობებს სუბიექტური ძალადობის აფეთქებებისათვის. იგივე ფილანტროპებმა, რომლებიც გასცემენ მილიონებს შიდსთან საბრძოლველად, ან ტოლერანტობის სასწავლებლად, ფინანსური სპეკულაციებით ათასობით ადამიანს დაუნგრიეს ცხოვრება და ამგვარად შექმნეს პირობები იმ არატოლერანტობის გასაზრდელად, რომელსაც ებრძვიან. 1960-იან

და '70-იან წლებში იყიდებოდა ეროტიკული საფოსტო ბარათები, სადაც გოგონებს ეცვათ ბიკინი, ან საღამოს კაბა; საჭირო იყო ბარათის ოდნავ მოტრიალება, მისთვის სხვა კუთხით შეხედვა და სამოსი სასწაულებრივად ქრებოდა, ჩანდა შიშველი სხეული. როდესაც გვბომბავენ ისეთი გულისამაჩუყებელი ამბებით, როგორიცაა ვალის გაუქმების ან სახიფათო ეპიდემიასთან მებრძოლი დიდი ჰუმანიტარული კამპანიის შესახებ, საჭიროა საფოსტო ბარათის ოდნავ შეტრიალება რათა დავინახოთ ლიბერალი კომუნისტების მიერ გაკეთებული საქმის შიშველი მხარე.

არ უნდა გვქონდეს ილუზიები: ლიბერალი კომუნისტები არიან ყველა დღევანდელი პროგრესული ბრძოლის მტრები. ყველა დანარჩენი მოწინააღმდეგე, რელიგიური ფუნდამენტალისტები და ტერორისტები, კორუმპირებული და არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატები არიან უბრალოდ ფიგურები, რომელთა აღზევება და ვარდნა დამოკიდებულია განსაკუთრებულ ადგილობრივ პირობებზე. აქედან გამომდინარე მათი მიზანია გლობალური სისტემის ყველა მეორადი პრობლემის მოგვარება, ლიბერალი კომუნისტები არიან ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა არის არასწორი სისტემაში. არ უნდა დავივიწყოთ ეს, როდესაც რასიზმთან, სექსიზმთან და რელიგიურ ობსკურანტიზმთან ბრძოლაში სხვადასხვა ტაქტიკურ შეთანხმებას ვდებთ ლიბერალ კომუნისტებთან.

მაშ რა ვუყოთ ჩვენს ლიბერალ კომუნისტებს, ვინც ნამდვილად კარგი ადამიანები არიან, ნამდვილად ადარდებთ სიღარიბე და ძალადობა მსოფლიოში და ამავდროულად აქვთ საშუალება საკუთარ თავს ამის უფლება მისცენ? რა ვუყოთ ადამიანს, რომელსაც ვერ იყიდიან კორპორაციები, რადგან თავად ფლობს მათ; რომელიც არამხოლოდ საუბრობს სიღარიბესთან ბრძოლაზე, არამედ რეალურად ებრძვის მას, რადგან ეს მისთვის მოგების მომტანია; რომელიც ღიად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, რადგან იმდენად გავლენიანია, შეუძლია საკუთარ თავს ამის უფლება მისცეს; რომელიც თავდადებულია საქმისათვის, არ ეძებს პირად მოგებას, რადგან მისი ყველა მოთხოვნილება უკვე დაკმაყოფილებულია; რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კარგ მეგობარს, განსაკუთრებით დავოსში საკუთარი კოლეგებისათვის? ბერტოლდ ბრეხტმა ამ შეკითხვას უპასუხა საკუთარ ლექსში "სიკეთის დაკითხვა (The Interrogation of the Good):"

წინ გამოდი: ჩვენ გაგვიგია
რომ შენ კარგი ადამიანი ხარ.
შენ ვერ მოგისყიდიან, მაგრამ ვერც
ელვას მოისყიდიან, რომელიც
შენს სახლს დაეცემა.
შენ ყოველთვის შენს ნათქვამზე დგახარ.
მაგრამ რას წარმოადგენს ეს ნათქვამი?
შენ პატიოსანი ხარ, ამბობ შენს აზრს.
რომელ აზრს?
შენ მამაცი ხარ.
ვის წინაღმდეგ?
შენ ბრძენი ხარ.
ვისთვის?
შენ არ ზრუნავ საკუთარ პირად სარგებელზე.
მაშ ვის სარგებელზე ზრუნავ?
შენ კარგი მეგობარი ხარ?
ხარ კი ამავდროულად კარგი ადამიანების კარგი მეგობარი?

გაიგე ჩვენი: ჩვენ ვიცით
შენ ჩვენი მტერი ხარ. ამიტომ ჩვენ ახლა
კედელთან დაგაყენებთ. მაგრამ ვითვალისწინებთ რა შენს დამსახურებებს
და დადებით თვისებებს,
ჩვენ კარგ კედელთან დაგაყენებთ და დაგხვრეტთ
კარგი ტყვიებით კარგი იარაღიდან და დაგმარხავთ
კარგი ნიჩბით კარგ მიწაში.[16]

თავი 2. Moderato Adagio: გეშინოდეს ახლობლის, როგორც საკუთარი თავის!

შიშის პოლიტიკა

დღევანდელობაში გაბატონებული პოლიტიკურ მოდელი არის პოსტპოლიტიკური ბიოპოლიტიკა – თეორიული ჟარგონის შესანიშნავი მაგალითი, რომლის გაშიფვრაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს: პოსტპოლიტიკურად ითვლება პოლიტიკა, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ გადალახა ძველი იდეოლოგიური ბრძოლა და მის ნაცვლად კონცენტრირებულია ადმინისტრირებასა და ექსპერტულ მართვაზე. ბიოპოლიტიკაში კი იგულისხმება ადამიანების ცხოვრებისა და კეთილდღეობის რეგულირების მთავარ პრიორიტეტად მიჩნევა.[1] ნათელია ამ ორი განზომილების გადაკვეთა, თუკი უარს იტყვი დიდ იდეოლოგიურ საქმიანობაზე, დარჩება მხოლოდ ცხოვრების ეფექტური მართვა … მეტი თითქმის არაფერი. ანუ დეპოლიტიზირებული, სოციალურად ობიექტური, ინტერესების ექსპერტული და კოორდინირებული მართვის მქონე ნულოვანი პოლიტიკური დონის ფონზე ამ სფეროში ემოციის შემოტანისა და ადამიანების მობილიზების ერთადერთი გზა გადის შიშზე, დღევანდელი სუბიექტურობის უმთავრეს ელემენტზე. აქედან გამომდინარე ბიოპოლიტიკა არის შიშის პოლიტიკა; ის კონცენტრირებულია პოტენციურ მსხვერპლად გარდაქმნისა და ძალადობისგან თავდაცვაზე.

ზუსტად ეს განასხვავებს რადიკალურ განმათავისუფლებელ პოლიტიკას ჩვენი პოლიტიკური status quo-საგან. საუბარი არის არა ხედვებსა ან აქსიომათა ნაკრებს შორის განსხვავებაზე, არამედ პოლიტიკებს შორის არსებულ განსხვავებაზე. ერთი მათგანი დაფუძნებულია უნივერსალურ აქსიომათა ერთობაზე, ხოლო მეორე უარს ამბობს პოლიტიკურის კონსტიტუციურ განზომილებაზე და ეყრდნობა შიშს, როგორც მობილიზების მთავარ პრინციპს: ემიგრანტების შიში, დანაშაულის შიში, უღმერთო სექსუალური გარყვნის შიში, მაღალი გადასახადების დამწესებელი თვითნებური სახელმწიფოს შიში, ეკოლოგიური კატასტროფის შიში, ჩაგვრის შიში. შიშის პოლიტიკის სამაგალითო ლიბერალური ფორმა არის პოლიტკორექტულობა. ამგვარი (პოსტ)პოლიტიკა მუდამ

ემყარება პარანოიული ოხლოსის, ანუ ბრბოს მანიპულირებას: ის დაკავებულია ისედაც შეშინებული ხალხის დაშინებით.

ამით აიხსნება 2006 წელს ანტისაიმიგრაციო პოლიტიკის მეინსტრიმში აღზევებასა და რადიკალურ მემარჯვენე ფრთისგან საბოლოო ჩამოცილებას მოყოლილი რეზონანსი. საფრანგეთიდან გერმანიამდე, ავსტრიიდან ჰოლანდიამდე კულტურულ და ისტორიულ იდენტობაში სიამაყის ახალი ტალღის დახმარებით, მთავარმა პარტიებმა მისაღებად მიიჩნიეს ხაზი გაესვათ, რომ მასპინძელი კულტურებისათვის იმიგრანტები არიან სტუმრები, რომლებიც მასპინძლის კულტურულ ღირებულებებს უნდა შეეთვისონ - "ეს ჩვენი ქვეყანაა, გიყვარდეთ ან დატოვეთ იგი."

თანამედროვე ლიბერალური ტოლერანტობა, უცხოს პატივისცემა და მისდამი გახსნილობა შეიცავს ობსესიურ შიშს შევიწროების მიმართ. მარტივად რომ ვთქვათ, *უცხოებთან* პრობლემა არ გაქვს იქამდე, სანამ მათი არსებობა მომაბეზრებელი არ გახდება, სანამ *უცხო* ნამდვილად *უცხო* არ გახდება... ტოლერანტობა ემთხვევა მის საწინააღმდეგოს. ჩემი მოვალეობაა ვიყო ტოლერანტი *უცხოს* მიმართ ნიშნავს, რომ მე დავიკავებ დისტანციას, ზედმეტად არ მივუახლოვდები, სივრცეს არ დავურღვევ. სხვაგვარად, მე პატივი უნდა ვცე მის *არატოლერანტობას* ჩემთან ზედმეტი სიახლოვის მიმართ. გვიანკაპიტალისტურ საზოგადოებებში ადამიანის მთავარ უფლებად სულ უფრო ხშირად გამოყოფენ უფლებას *არ იყო შევიწროებული*, რაც წარმოადგენს უფლებას იყო სხვებისგან უსაფრთხო მანძილზე.

პოსტპოლიტიკურ ბიოპოილიტიკას კიდევ ორი, ურთიერთდაპირისპირებულ იდეოლოგიურ განზომილებებს მიკუთვნებული ასპექტი გააჩნია: განზომილება, რომელიც ადამიანებს ამცირებს უბრალოდ სიცოცხლემდე, ჰომო საკერებამდე, ეს ეგრეთწოდებული საკრალური არსება ექსპერტული ცოდნის მზრუნველობის ქვეშაა,[2] მხოლოდ, წართმეული აქვს ყველა უფლება ისევე როგორც გუანტანამოს პატიმრებს, ან ჰოლოკოსტის მსხვერპლებს; და მოწყვლადი *უცხოს* პატივსაცემი განზომილება, პატივისცემისა, რომელიც მიყვანილია უკიდურეს ნარცისისტულ სუბიექტურობამდე. მოწყვლადი მუდმივად არის "შევიწროებათა" რისკის ქვეშ. შესაძლებელია თუ არა არსებობდეს უფრო დიდი კონტრასტი *უცხოს* დაუცველობის მიმართ პატივისცემასა და *უცხოს* ჰომო საკერამდე დაკნინებას შორის? რა ვქნათ, თუკი ამ ორ ტოტს ერთი ძირი აქვთ? თუკი ესენი ერთი სისტემის ორი ასპექტია? თუ ისინი ერთმანეთს ემთხვევიან ისე, რომ ჩნდება სურვილი ვუწოდო თანამედროვე მაგალითი უსასრულო მსჯელობისა, რომელიც ამტკიცებს წინააღმდეგობათა იგივეობას? გარდა ამისა, ორივე პოლუსს მაღალი მიზნების უარყოფა ახასიათებს, რომ ჩვენი ცხოვრების მთავარი მიზანი თავად ცხოვრებაა. ამიტომ არ არის რაიმე წინააღმდეგობა *უცხოს* პატივისცემასა და წამებას, ადამიანების ჰომო საკერებად აღიარებას შორის.

სემ ჰარისი "რწმენის დასასრულში" დასაშვებად მიიჩნევს განსაკუთრებულ შემთხვევებში წამების გამოყენებას (რა თქმა უნდა, ვინც წამებას ემხრობა, მას დასაშვებად მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიიჩნევს, არავინ ეთანხმება პატარა მშიერი ბავშვის წამებას შოკოლადის მოპარვის გამო). იგი პოზიციას ამყარებს რეაქციათა სხვაობით საკუთარი თვალით დანახულ წამებასა და წამების აბსტრაქტულ წარმოდგენას შორის: ჩვენთვის გაცილებით რთულია ადამიანის წამება, ვიდრე ათასობით ადამიანისათვის სიკვდილის მომტანი ბომბის ჩამოგდების ნებართვის გაცემა.

ჩვენ ვართ აღქმის ილუზიის ანალოგი ეთიკის ილუზიის ტყვეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი აბსტრაქტული მსჯელობის უნარი საგრძნობლად გაიზარდა, ჩვენი ემოციურ-ეთიკური პასუხი კვლავ განსაზღვრულია ხილულ ძალადობაზე მეტი თანაგრძნობის ინსტინქტური რეაქციით. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის გაცილებით რთულია ვინმესთვის იარაღიდან პირდაპირ სროლა,

ვიდრე ღილაკზე დაჭერით ათასობით ადამიანის მოკვლა, რასაც ვერ ვიხილავთ:

> იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ჩვენგანი ტერორიზმთან ბრძოლას მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევს, განსაკუთრებულ შემთხვევებში წამება არა თუ დასაშვები, აუცილებელიც კია. თუმცაღა ეთიკის კუთხით თუ შევხედავთ, იგი მეტად მისაღები არ არის, ვიდრე აქამდე იყო. მიზეზები ისევე ნევროლოგიური ხასიათისაა, როგორც ისინი, რომლებიც მთვარის ილუზიას იწვევენ. […] შესაძლოა დრო მოვიდა ავიღოთ ჩვენი მმართველები და ცაში გავუშვათ.[3]

არ არის გასაკვირი, რომ ჰარისი ალან დერშოვიცსა და მის წამების ლეგიტიმაციას ეხმიანება.[4] სხვისი ტანჯვის ყურების შედეგად ევოლუციურად განპირობებული ტკივილის შესამცირებლად, ჰარისი წარმოიდგენს იდეალურ "სიმართლის ტაბლეტს," რომელიც უკოფეინო ყავის, ან დიეტური კოლის ეკვივალენტია:

> პრეპარატი, რომელიც ერთდროულად ტანჯვის მოგვრისა და დაფარვის ინსტრუმენტია. ტაბლეტის მოქმედება გამოიწვევდა ისეთ დროებით დამბლასა და ტანჯვას, რომ მისი ხელახლა დალევა თავში არავის მოუვიდოდა. წარმოიდგინეთ, როგორ ვიგრძნობდით თავს ჩვენ, მოძალადეები, როდესაც ტყვედ აყვანილ ტერორისტებს ამ ტაბლეტს მივცემდით, ისინი ერთი საათით ჩათვლემდნენ და შემდეგ ყველაფერს იტყოდნენ საკუთარ ორგანიზაციაზე. ნუთუ ამას არ ვუწოდებდით "სიმართლის ტაბლეტს?"[5]

პირველი სიტყვები - "პრეპარატი, რომელიც ერთდროულად ტანჯვის მოგვრისა და დაფარვის ინსტრუმენტია" - წარმოგვიდგენს ტიპურ, პოსტმოდერნულ შოკოლადის კუჭში გამხსნელის ლოგიკას: ეს წარმოსახვითი ტანჯვა უკოფეინო ყავის მსგავსია, შედეგად ჩვენ არ განვიცდით გვერდით მოვლენებს. ცნობილ მოსკოვის სერბსკის ინსტიტუტში, კგბ-ს ფსიქიატრიულ განყოფილებაში დისიდენტთა საწამებლად ამგვარი პრეპარატი შეიმუშავეს: ინექცია ასუსტებდა პულსს პატიმრის გულის არეში და იწვევდა ძლიერ შფოთვას. ერთი შეხედვით პატიმარს ეძინა, რეალურად კი იგი საშინელ კოშმარს განიცდიდა.

11 სექტემბერზე საუბრისა და ჩომსკის კრიტიკისას, ჰარისი არღვევს საკუთარ წესებს. ჩომსკი მიიჩნევს, რომ მიმტევებლობა აბსტრაქტული, ათასობით ანონიმური ადამიანის მკვლელობის დროს და განსჯა ცალკეული ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში არის ფარისევლობა. რატომ უნდა იყოს კისინჯერი, რომელმაც გასცა კამბოჯის "ხალიჩისებრი დაბომბვის" ბრძანება, გამოიწვია ათობით ათასი ადამიანის სიკვდილი, ტყუპების აფეთქებაზე პასუხისმგებელ პირებზე ნაკლები დამნაშავე? იმიტომ ხომ არა, რომ "ეთიკური ილუზიის" მსხვერპლნი ვართ? 11 სექტემბრის საშინელება დეტალურად იყო გადმოცემული მედიის საშუალებით, თუმცა ალ-ჯაზირა აშშ-ის მიერ დაბომბილი ფალუჯას ჩვენების გამო დაგმეს და ტერორისტებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს.

თუმცა, აქ კიდევ ერთი ყურადსაღები მომენტია: სიახლოვე (წამების ობიექტთან), რომელიც იწვევს თანაგრძნობას და დაუშვებელს ხდის წამებას, არ არის მხოლოდ ფიზიკური სიახლოვე, არამედ არსით არის ახლობლის სიახლოვე. ამ ტერმინის სრული იუდო-ქრისტიანულ-ფროიდიანული გაგებით, არ აქვს მნიშვნელობა ფიზიკურ მანძილს, საგნები მაინც ძალიან ახლოსაა. ჰარისი თავისი

"სიმართლის ტაბლეტით" ცდილობს *გაუქმოს ახლობლის განზომილება.* წამების მსხვერპლი არის არა ახლობელი, არამედ ობიექტი, რომლის ტკივილი ნეიტრალიზებულია, შემცირებულია საკუთრებამდე, რომელთანაც რაციონალური უტილიტარული აღრიცხვა არის საჭირო (ტანჯვისა და ტკივილის ის რაოდენობა არის მისაღები, რაც მეტი ტანჯვისა და ტკივილის წარმოქმნას უშლის ხელს). აქ ქრება სუბიექტთან დაკავშირებული უსასრულობის უფსკრული. აღსანიშნია, რომ წიგნს რომელიც განიხილავს წამების დადებით მხარეებს ჰქვია "რწმენის დასასრული," არა იმ აშკარა გაგებით, რომ "ჩვენი რწმენა ღვთისადმი და ღვთის ბრძანება შევიყვაროთ ახლობელი ჩვენი, გვიშლის ხელს ვაწამოთ ადამიანები," არამედ უფრო რადიკალური გაგებით. ლაკანი ასევე განიხილავს "წინასწარვარაუდს." არა პირდაპირ მოწოდებული, არამედ წინასწარგანსაზღვრული, რწმენის ობიექტი – რომლის გარეშეც როგორ უნდაა ვიყო დარწმუნებული, რომ ჩემ წინ სხვა სუბიექტს ვხედავ და არა სიღრმეს მოკლებულ, ბრტყელ ბიოლოგიურ მანქანას?

ახლობლის საკითხი

ამგვარად, ეს წინასწარ ნავარაუდები სუბიექტი არ არის უბრალოდ კიდევ ერთი მდიდარი შინაგანი სამყაროს მქონე ადამიანი, რომელიც თავად ჰყვება პირად ისტორიებს, რათა საკუთარ არსებობას აზრი შესძინოს, ასეთი ადამიანი ვერ იქნება მტერი. "მტერი არის ის, ვისი ისტორიაც არ გაგიგია."[6] ამ თეზისის შესანიშნავი ლიტერატურული ილუსტრაციაა მერი შელის "ფრანკენშტეინი." შელი აკეთებს იმას, რასაც არასდროს იზამდა კონსერვატორი. წიგნის ცენტრალურ ნაწილში იგი უფლებას აძლევს მონსტრს ილაპარაკოს საკუთარ თავზე, გადმოსცეს ისტორია პირველ პირში. მისი გადაწყვეტილება მიუთითებს სიტყვის თავისუფლებისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებაზე: ყველას აზრი უნდა იქნას გაგონილი. მონსტრი „ფრანკენშტეინში“ არ არის "საგანი," საშინელი ობიექტი, რომელსაც ვერავინ უბედავს წინააღმდეგობის გაწევას; ის ბოლომდე სუბიექტირებულია. მერი შელი ძვრება მის თავში და სვამს შეკითხვას, როგორია როდესაც საზოგადოება გაკერებს იარლიყს, გსაზღვრავს, გჩაგრავს, გრიყავს და ფიზიკურად გამახინჯებს? ამგვარად, მთავარ დამნაშავეს აქვს უფლება თავი მთავარ მსხვერპლად წარმოგვიდგინოს. საშინელი მკვლელი აღმოჩნდება ღრმად გულნატკენი და სასოწარკვეთილი, იღწვის სიყვარულისა და მეგობრობისათვის.

თუმცა ამ პროცედურას აქვს ნათელი მხარე: ვართ ჩვენ მზად დავიწყოთ მტკიცება, რომ ჰიტლერი იმიტომ იყო მტერი, რადგან მისი ისტორია არ გაგვიგია? "ლენინის საფლავში" დევიდ რემნიკი მოგვითხრობს 1988 წელს მოსკოვში ვიზიტისას მის მცდელობებზე შეხვედროდა სტალინის გარემოცვის ბოლო ცოცხალ წევრს, ლაზარ კაგანოვიჩს, ვისი მეთვალყურეობის ქვეშაც 1929-33 წლებში გატარდა კოლექტივიზაციის პროგრამა. მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა აუწერელ ნგრევასა და ტანჯვაზე. მაშინ ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული კაგანოვიჩი განცალკევებულ ბინაში, განდეგილივით ცხოვრობდა. რემნიკი არ კარგავდა ნამდვილად ბოროტ ადამიანთან

შეხვედრის იმედს:

> კიდევ სწამდა კაგანოვიჩს? მინდოდა გამეგო. გრძნობდა თუ არა დანაშაულს, სირცხვილს? რას ფიქრობდა იმჟამინდელ გენერალურ მდივან გორბაჩოვზე? მაგრამ ეს სულ არ იყო. რეალურად მე კაგანოვიჩთან ერთ ოთახში დაჯდომა მინდოდა, მენახა როგორ გამოიყურებოდა ბოროტი ადამიანი, გამეგო რას აკეთებდა, რა წიგნები ჰქონდა გარშემო.[7]

დიდი ალბათობით, რემნიკს მიზნისთვის რომ მიეღწია, იგი სუსტ, გულკეთილ, ოცნებების ტყვეობაში მყოფ მოხუცს შეხვდებოდა. როდესაც, 1960-იან წლებში სვეტლანა ალილუევა ინდოეთის გავლით აშშ-ში ემიგრირდა და დაიწყო მემუარების წერა, მან სტალინის შინაგანი სახე გულთბილ მამად და მზრუნველ ლიდერად წარმოგვიჩინა: მასზე მიწერილი მასობრივი მკვლელობები მისი ბოროტი თანამებრძოლების, ძირითადად ლავრენტი ბერიას კისერზე იყო. მოგვიანებით, ბერიას ვაჟმა სერგომ დაწერა მემუარები, სადაც მამა წარმოაჩინა თბილ ოჯახის კაცად, რომელიც უბრალოდ მიჰყვებოდა სტალინის ბრძანებებს და ფარულად ზიანის შემცირებას ცდილობდა. გეორგი მალენკოვის შვილმა ანდრეიმ ასევე მოგვითხრო მამამისის შესახებ, სტალინის მემკვიდრე პატიოსანი მშრომელი კაცი იყო, რომელიც მუდამ საკუთარ უსაფრთხოებაზე დარდობდა. ჰანა არენდტი მართალი გახლდათ: ეს ფიგურები არ იყვნენ დიადი ბაირონისეული დემონური ბოროტების პერსონიფიკაციები: უფსკრული მათ ინტიმურ გამოცდილებასა და მათი მოქმედებების შედეგად მოტანილ კოშმარს შორის უზარმაზარი იყო. ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოცდილება, ისტორია რომელსაც საკუთარ თავზე ვყვებით, რათა ავხსნათ თუ რას ვაკეთებთ, არის არსობრივად ტყუილი – სიმართლე გარეთ არის, ჩვენს მოქმედებებში.[8]

გულუბრყვილო ეთიკურ ცნობიერებას მუდმივად აკვირვებს, თუ როგორ მზრუნველად და თბილად ეპყრობიან საკუთარ ჯგუფის წევრებს ადამიანები, რომელთაც საშინელი ძალადობის აქტები აქვთ ჩადენილი. ნუთუ არ არის უცნაური, რომ გერმანელი ჯარისკაცი, რომელმაც უდანაშაულო მოქალაქეები დახოცა, მზად იყო საკუთარი დანაყოფისათვის სიცოცხლე გაეწირა? რომ მეთაურმა, რომელმაც მძევალთა დახვრეტა ბრძანა, შესაძლოა იმავე საღამოს საკუთარ ოჯახს გულწრფელი სიყვარულით სავსე წერილი გაუგზავნოს? ეთიკური მზრუნველობის გარკვეული წრით შეზღუდვა, როგორც ჩანს, წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს სპონტანურ გაგებასთან, რომ ჩვენ ყველანი ვართ ადამიანები ერთგვარი იმედებით, შიშებით, ტკივილებით და ამიტომ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ თანაბარი პატივისცემა და აღიარება. შესაბამისად, ისინი ვინც ავიწროებენ საკუთარ ეთიკური მზრუნველობის წრეს, არიან არათანმიმდევრულები და ფარისევლები. ჰაბერმასის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, ისინი პრაგმატულ წინააღმდეგობაში არიან, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი არღვევენ მათი ენობრივი საზოგადოების მიერ დაწესებულ ეთიკურ ნორმებს. ჩვენს საზოგადოებას გარეთ მყოფი ადამიანებისათვის საბაზისო ეთიკური უფლებების მინიჭებაზე უარის თქმა არ არის ის, რაც ადამიანს ბუნებრივად მოჰყვება. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს ბუნებრივ ეთიკურ მიდრეკილებებს. ის შეიცავს სასტიკ რეპრესიასა და თვითუარყოფას.

როდესაც კომუნიზმის დაცემის შემდეგ, აღმოსავლეთგერმანელი ზომიერად დისიდენტი მწერალი შტეფან ჰერმლინი გაამტყუნეს, 1950-იან წლებში, სტალინის მადიდებელი ტექსტებისა და პოემების დაწერისათვის, მან შეურაცხყოფილმა უპასუხა, რომ იმ პერიოდის ევროპაში, სტალინის სახელი

დაკავშირებული იყო თავისუფლებისა და სამართლიანობისადმი მისწრაფებასთან, არ ჰქონდა კავშირი იმ საშინელებასთან, რაც საბჭოთა კავშირში „ფარულად“ ხდებოდა. ამგვარი გამართლება, ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, საკმაოდ გონებამახვილურია: თუმცა არც არის საჭირო იცოდე სტალინისტური ტერორის შესახებ, რათა მიხვდე, რომ სტალინიზმში რაღაც საშინლად არასწორია. სავსებით საკმარისია საჯარო ტექსტური დოკუმენტების გაცნობა: ოფიციალური ანგარიშები საჩვენებელი სასამართლო პროცესებიდან, მტერზე თავდასხმის შესახებ, ოფიციალური ქება-დიდება სტალინსა და სხვა მაღალჩინოსნებს. რაღაც გაგებით ყველაფერი, რის ცოდნაც საჭირო იყო, აქედანვე ჩანს. აქედან გამომდინარე, გასაოცარ ფარისევლობას წარმოადგენდა დასავლელი კომუნისტური დამკვირვებლების მზაობა ნამდვილ ფსიქოლოგიურ ფაქტად აღექვათ ბრალდებულებზე მიმართული სტალინისტური ბრალდებები. 1938 წელს, ვალტერ ბენიამინისადმი მიწერილ წერილში თეოდორ ადორნო იხსენებს საუბარს, რომელიც მას ნიუ-იორკში ჰქონდა მარცხნივ გადახრილ კომპოზიტორ ჰანს ეისლერთან:

> მე მოთმინებით ვისმენდი მოსკოვური სასამართლო პროცესების უსუსურ გამართლებას და ამაზრზენ ხუმრობებს, რომლებიც მან ბუხარინის მკვლელობაზე თქვა. ის ამბობდა, რომ მოსკოვში უკანასკნელ ადამიანამდე ყველას იცნობდა და ბუხარინის სინდისი იმდენად ბინძური იყო, რომ იგი ეისლერს თვალებშიც კი ვერ უყურებდა.[9]

შემზარავია ეისლერის ფსიქოლოგიური სიბრმავე, იგი არასწორად იგებს ბუხარინის შიშს - შიშს იქონიოს უცხოელებთან კონტაქტი, როდესაც იმ პერიოდში მან იცოდა, რომ უთვალთვალებდნენ. როგორ უნდა გავიგოთ ეს ყოველივე, როდესაც დასავლეთში სტალინიზმის პროდუქტებს ზოგიერთი გულწრფელი ეთიკის გამოხატულებად მიიჩნევდა, ადამიანის რწმენისა და ჰუმანიზმის გამოვლინებად (გახსოვთ, როგორ შეხვდა დასავლეთი მარკ დონსკოის გორკის ტრილოგიას)? იქნებ საჭიროა შევწყვიტოთ დასავლელი მოგზაურების გაკიცხვა სტალინური საბჭოთა კავშირის საშინელებების მიმართ მიამიტური დამოკიდებულების გამო და გადავერთოთ დელეზისეულ შეხედულებაზე შემთხვევითი გადაკვეთის სერიების შესახებ, რომლებიც აზრს არ ატარებენ, ისევე როგორც სამეცნიერო ფანტასტიკური ნაწარმოები, სადაც მეცნიერები გაარკვევენ, რომ აფეთქება, რომელიც ბიბლიაში ღმერთის გზავნილს ნიშნავდა, რეალურად იყო ვიზუალური კვალი საზარელი კატასტროფისა, რომელმაც გაანადგურა უცხოპლანეტელთა აყვავებული ცივილიზაცია. ანუ, რთულია აღიარება, რომ ის საშინელებები, საიდანაც გორკიზე ტრილოგია აღმოცენდა, არ აკნინებს დასავლელ და რუს მაყურებელზე მისი გავლენის უტყუარობას.

11 სექტემბერს, United 93 და სამი სხვა თვითმფრინავი რომ გაიტაცეს ტერორისტებმა, სატელეფონო საუბრებში მგზავრებსა და ახლობლებს შორის მუდმივად ისმოდა: "მე შენ მიყვარხარ." მარტინ ემისმა პავლე მოციქულის სტილში აღნიშნა სიყვარულის მნიშვნელობა, ეს არის ერთადერთი რამ, რასაც მნიშვნელობა აქვს: "სიყვარული რაღაც ბუნდოვნის აღმნიშვნელი აბსტრაქტული არსებითი სახელია. და მაინც, მხოლოდ ის უძლებს სამყაროს გადატრიალებას, ეკრანის ჩაქრობას."[10] თუმცაღა, ეჭვი არსებობს: ხომ არ არის ამ სიყვარულში რაღაც ტყუილი, რაღაც ფარისევლური, ისევე როგორც შიშით გამოწვეული ღმერთისადმი უეცარი მიმართვა, ლოცვა, ფარისევლური ოპორტუნისტული ნაბიჯი მათგან, ვინც მოულოდნელად უბედურებას გადაეყარა და ახლოსაა სიკვდილთან? რატომ

უნდა იყოს მეტი ჭეშმარიტება იმაში, რასაც ჩვენ სასოწარკვეთილები ვაკეთებთ? ნუთუ ასეთ მომენტებში გადარჩენის ინსტინქტი არ გვაიძულებს ვუღალატოთ ჩვენს საწადელს? ამ გაგებით, სიკვდილის წინ სიმართლეში გამოტყდომა, სიყვარულის ახსნა საწადელის მსხვერპლშეწირვაა. არაერთი მოგონების მიხედვით, სტალინისტურ საჩვენებელ პროცესებზე გასამართლებული ადამიანებიდან ბევრი დახვრეტის წინ საკუთარ უდანაშაულობაზე და სტალინისადმი სიყვარულზე საუბრობდა, დიადი *უცხოს* თვალში წარმოდგენის ამაღლების მიზნით შესრულებული შემაძრწუნებელი ჟესტი. ასევე გაოცებას იწვევს, თუ როგორ უარყოფდნენ საბჭოთა კავშირის ჯაშუშობას ეტელი და იულიუს როზენბერგი პირად მიმოწერაში, თამაშობდნენ რა უშიშროების ფედერალური ბიუროს მსხვერპლების როლს. მათი დამცველებისთვის სამწუხაროდ, ბოლოდროინდელი დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ იულიუსი მაინც იყო ჯაშუში (თუმცა შესაძლოა იმაზე დაბალი რანგის, ვიდრე ბრალდება მიიჩნევდა). მათი პირადი მიმოწერის კითხვისას, მიუხედავად ცოდნისა, რომ იგი ჯაშუში იყო, რთულია გულწრფელობის გრძნობისაგან გათავისუფლება, თითქოს მან საკუთარი თავი დაარწმუნა უდანაშაულობაში. ეს გარემოება უფრო უცნაურია იმის გათვალისწინებით, თუ მას მართლაც სწამდა საბჭოთა კავშირის, რატომ არ უნდა დაკავებულიყო ჯაშუშობით? (ამას მივყავართ იქამდე, რაც იქნებოდა ნამდვილი ეთიკური აქტი: წარმოვიდგინოთ, რომ ცოლი სიცოცხლის ბოლო წუთს ურეკავს ქმარს და ეუბნება: მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი ქორწინება ყალბი იყო, შენი დანახვაც კი არ მინდა...)

ცივი ომის ერთ-ერთ ტრაგედიას წარმოადგენენ დასავლელი მემარცხენეები, რომლებიც საკუთარ ქვეყნებში სრული გულწრფელობით გმირულად ეწინააღმდეგებოდნენ ანტიკომუნისტურ ისტერიას. ისინი მზად იყვნენ საბჭოთა კავშირის დაცვის გამო, ციხეში წასულიყვნენ. განა მათი ილუზორული რწმენა არ გარდაქმნის მათ სუბიექტურ პოზიციას უდიდეს ტრაგედიად? სტალინის საბჭოთა კავშირის სამწუხარო რეალობა მათ შინაგან რწმენას მყიფე სილამაზეს აძლევს. ამგვარად, ჩვენ მივდივართ რადიკალურ და მოულოდნელ დასკვნამდე: არ არის საკმარისი უბრალოდ ითქვას, რომ საქმე გვაქვს ტრაგიკულად შეუსაბამო ეთიკურ მრწამსთან, ბრმა რწმენასთან, რომელიც ხელს გვიშლის დავინახოთ ამ ეთიკური ორიენტირის სამწუხარო, საზარელი რეალობა. თუკი საპირისპიროდ, ამგვარი სიბრმავე, უარი რეალობის დანახვაზე, გაფეტიშებული დამოკიდებულება - "მე ვიცი იმ საშინელებებზე, რაც საბჭოთა კავშირში ხდება, თუმცა მე მაინც მწამს საბჭოთა სოციალიზმის" არის ნებისმიერი ეთიკური პოზიციის ღრმა შემადგენელი ნაწილი?

ჯერ კიდევ კანტს შესანიშნავად ესმოდა ეს პარადოქსი, როდესაც "ფაკულტეტთა კონფლიქტში" (1798) საფრანგეთის დიდი რევოლუცია დააკავშირა ენთუზიაზმთან. რევოლუციის ნამდვილი მნიშვნელობა არ არის ის, რაც იმ პერიოდში პარიზში მოხდა – სასტიკი მკვლელობები – არამედ აღტკინებული გამოხმაურება, რომელიც პარიზულმა მოვლენებმა დანარჩენ ევროპაში გამოიწვია:

> სულიერად მდიდარი ხალხის რევოლუცია, რომელიც ახლა ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს, წარმატებას მიაღწევს იგი თუ არა, მიუხედავად იმისა რომ იგი შეიცავს უბედურებასა და სიმხეცეს, აღტკინებს მაყურებელს (ვინც თავად არ არის ჩართული).[11]

ლაკანის ენაზე რომ ვთარგმნოთ, რეალური მოვლენა, *რეალობის* განზომილება განისაზღვრებოდა არა პარიზში მომხდარი ძალადობის აქტებით, არამედ მაყურებლის მიერ ამ ფაქტების აღქმით,

მათში აღძრული იმედებით. პარიზში მიმდინარე მოვლენების რეალობა ეკუთვნის ემპირიული ისტორიის დროებით განზომილებას; ამაღლებული გამოხატულება, რომელიც იწვევს ენთუზიაზმის დაბადებას, ეკუთვნის მარადისობას...

Mutatis mutandis,[12] იგივე შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირის დასავლელ თაყვანისმცემლებზე. "ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შენების" საბჭოური გამოცდილება, რა თქმა უნდა, შეიცავდა უბედურებასა და სიმხეცეს, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი აღტკინებს მაყურებელს (ვინც თავად არ იყო ჩართული)" ისმის შეკითხვა: ამგვარ ფეტიშისტურ უარყოფის ჟესტს უნდა ეფუძნებოდეს თუ არა *ყველა* ეთიკა? ყველაზე უნივერსალურმა ეთიკამ მაინც არ უნდა გაავლოს კონტური და უგულებელყოს გარკვეული სახის ტანჯვა? რას იტყვით ჩვენი მოხმარების მიზნით გაწყვეტილ ცხოველებზე? რომელი ჩვენგანი შეძლებს ღორის ხორცის ჭამას ღორების ფერმაში ვიზიტის შემდეგ, სადაც ღორები ნახევრად უსინათლოები არიან, წესიერად ვერ დადიან, სადაც მათ მხოლოდ იმისთვის ასუქებენ, რომ მოგვიანებით მოკლან? რას იტყვით მილიონობით ადამიანის ტანჯვასა და წამებაზე, რომელთა შესახებ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, თუმცა ვირჩევთ გულგრილობას. წარმოიდგინეთ, რა შეიძლება გამოიწვიოს snuff-ფილმის ყოველდღე იძულებით ყურებამ, სადაც მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს აჩვენებენ: წამების სასტიკი ფორმები, თვალების ამოთხრა... სია ძალიან დიდია. შეეძლება მაყურებელს ისე მოიქცეს, თითქოს არაფერი მომხდარა? დიახ, თუ იგი შეძლებს ნანახის დავიწყებას, მისი სიმბოლური ქმედითობის შეჩერებას. დავიწყება დაკავშირებულია ფეტიშისტურ უარყოფის ჟესტთან: "მე ვიცი, რომ არ მინდა ვიცოდე, რაც ვიცი, ამიტომ მე არ ვიცი." მე ვიცი, მაგრამ უარს ვაცხადებ სრულად მივიღო ამ ცოდნის შედეგები, რათა განვაგრძო მოქმედება ისე, თითქოს მე არ ვიცოდი.

ნათელი ხდება, რომ შესაძლოა ნებისმიერი ეთიკა ეფუძნებოდეს მხოლოდ ამ ფეტიშისტურ უარყოფის ჟესტს. ერთი შეხედვით გამონაკლისი ბუდისტური სოლიდარობის ეთიკაც ამ წესს მისდევს. საბოლოო ჯამში, ბუდიზმი გვთავაზობს უნივერსალიზებულ ინდიფერენტულობას – სწავლება ზედმეტი თანაგრძნობის თავიდან აცილების შესახებ. ზუსტად ამიტომ უადვილდება ბუდიზმს გადაიქცეს უნივერსალური თანაგრძნობის სრულ საპირისპიროდ: მილიტარიზმის ადვოკატირება, რაც შესანიშნავად გამოხატულია ძენ-ბუდიზმის ბედისწერით.

ამ ფაქტით გაოცება არასწორი ფილოსოფიური დამოკიდებულებაა. ის, რაც ჰგავს არათანმიმდევრულს, ეთიკური პოზიციიდან შედეგების წარუმატებელ განდევნას, იქნებ საპირისპიროდ, არის შესაძლებლობის დადებითი გარემოება? იქნებ ჩვენი ეთიკური საფიქრალიდან განსხვავებულობის კონკრეტული ფორმის გარიყვა ეთანხმება ეთიკური უნივერსალიზმის ფუნდამენტურ ჟესტს. შესაბამისად, რაც უფრო უნივერსალურია ჩვენი გამოხატული ეთიკა, მით უფრო ბრუტალურია შინაგანი გამონაკლისი? ყოვლისმომცველი ქრისტიანული ატიტუდი (გავიხსენოთ პავლე მოციქულის ცნობილი "არა არსებობს მამაკაცი ან ქალი, ებრაელი ან ბერძენი") შეიცავს მათ სრულ უარყოფას, ვინც უარს აცხადებს ქრისტიანულ საზოგადოებაში გაერთიანებაზე. სხვა "პარტიკულარისტულ" რელიგიებში (ისლამშიც კი, მიუხედავად მისი გლობალური ექსპანსიონიზმისა) არის ადგილი სხვებისთვის: ისინი შეწყნარებულები არიან, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მათ ქედმაღლურად უყურებდნენ.

ქრისტიანული დევიზი "ყველა ადამიანი მოყვასია" ასევე ნიშნავს, ვინც არ ერთიანდება საძმოში, *არ არის ადამიანი.* ირანის რევოლუციის პირველ წლებში ხომეინიმ იგივე პარადოქსი გამოიყენა, როდესაც დასავლურ პრესასთან ინტერვიუში საუბრობდა, რომ ირანის რევოლუცია იყო ისტორიაში ყველაზე ჰუმანური: რევოლუციის მონაწილეებს ადამიანი არ მოუკლავთ. როდესაც გაკვირვებულმა ჟურნალისტმა ჰკითხა მასმედიაში გაშუქებული სასიკვდილო დასჯების შესახებ, ხომეინიმ წყნარად უპასუხა: "ისინი, ვინც ჩვენ მოვკალით, იყვნენ არა ადამიანები, არამედ დამნაშავე ძაღლები!"

ქრისტიანებს ეამაყებათ, რომ გადააბიჯეს რჩეული ერის იუდეურ გაგებას, მოიცვეს რა კაცობრიობა. სწორედ ეს არის საინტერესო: არ იშლიან, რომ ისინი არიან რჩეულები, ღმერთთან პირდაპირ დაკავშირებულები, იუდეველები აღიარებენ მცდარ ღმერთებზე მსახური ხალხის ადამიანურობას, ქრისტიანული უნივერსალიზმი კი კაცობრიობიდან რიყავს ურწმუნოებს.

რას იტყვით საწინააღმდეგო ჟესტზე, დაახლოებით ისეთზე, როგორიც ფრანგმა ფილოსოფოსმა ემანუელ ლევინასმა შექმნა – უარყო უნივერსალიზმის ფუძეში არსებული *იგივეობა* და იგი ჩაანაცვლა *განსხვავებულის პატივისცემით*? პეტერ სლოტერდიკი აღნიშნავს, რომ ლევინასეული ახლობლის უარყოფითი და გაცილებით საგანგაშო მხარე არის მისი უცხოდ წარმოუდგენლობა, მის მიმართ უსიტყვო პატივისცემა.[13] ამგვარად წარმოუდგენელი *უცხო* მტერია, მტერი რომელიც წარმოადგენს აბსოლუტურ *უცხოს* და აღარ არის "პატივსაცემი მტერი," მისი მსჯელობა ჩვენგან ძალიან შორს დგას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მას ბრძოლაში შევხვდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ლევინასი არ ფიქრობდა ამ განზომილებაზე, რადიკალური ორაზროვნება, *ახლობლის* ტრავმატული ხასიათი ამარტივებს იმის გაგებას, თუ როგორ ამზადებს ამის საფუძველს (და ხსნის სივრცეს) ლევინასისეული *უცხოს* გაგება; ამგვარად, შეამზადა კანტის ეთიკამ საფუძველი სატანური ბოროტების გასაგებად. რაოდენ საშინლადაც არ უნდა ჟღერდეს, ლევინასისეული *უცხო,* როგორც უცხოობის უფსკრული, რომელიც წარადგენს ეთიკურ მოთხოვნებს და ნაცისტური ებრაელის ფიგურა, როგორც ნაკლები-ვიდრე-ადამიანი, *უცხო-მტერი* წარმოიქმნება ერთი საფუძვლიდან.

როდესაც ფროიდი და ლაკანი საუბრობენ პრობლემატურ ხასიათზე იუდეო-ქრისტიანულ მოთხოვნისა "შეიყვარე მოყვასი შენი," ისინი აკეთებენ არამხოლოდ სტანდარტულ კრიტიკულ-იდეოლოგიურ შენიშვნას, რომ უნივერსალურობის ამგვარი გაგება ჩვენი სპეციფიკური ღირებულებებით არის შემოსილი და აქედან გამომდინარე გვთავაზობს ფარულ გამონაკლისებს; ისინი ასევე გამოთქვამენ მეტად წონიან დასკვნას, ახლობლის იდეის ჩვენს უნივერსალურობის განზომილებასთან შეუსაბამობის შესახებ. უნივერსალურობას ეწინააღმდეგება *ახლობლის არაადამიანური* განზომილება. ამიტომ არის შეყვარებულის პოზიციაში ყოფნა ასე მტკივნეული, ტრავმატულიც კი: შეყვარებული მუდამ ვგრძნობ უფსკრულს საკუთარ თავსა და სიყვარულის გამომწვევ ჩემში არსებულ მიუღწეველ X-ს შორის. სიყვარულის ლაკანისეული განმარტება "სიყვარული ნიშნავს იმის გაცემას, რაც არ გაგაჩნია..." შევსებას საჭირეობს: "...მისთვის, ვისაც ეს არ უნდა." ვიცით კი, რომ უილიამ ბატლერ იეიტსის ცნობილი სტრიქონები აღწერენ ერთ-ერთ ყველაზე კლაუსტროფობულ კონსტელაციას, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ?

სამოთხის ბაღის ყველა ფერი ტანზე რომ მეცვას,
ოქროს ძაფი რომ ელვარებდეს ზედ მირიადი,
ცისფერით, მკრთალით, მუქით, თალხით შევტრფოდე ზეცას,
ღამის წყვდიადის, შუადღისა და განთიადის,
ფეხქვეშ დაგიფენ, არ მოვყვები კერვას და კემსვას,
თუმც, რაც არა მაქვს, ისედაც ხომ შენია ყველა;
ძირს მიმოვაბნევ სათითაოდ ზმანებებს ჩემსას,
ოღონდაც, ფრთხილად, შენ ახლა ჩემს ოცნებებს თელავ

თარგმანი – გია ჯოხაძე

მოკლედ, როგორც ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟილ დელეზმა აღნიშნა, "Si vous êtes pris dans le rêve de l'autre, vous etez foutu" (თუ სხვის ოცნებაში აღმოჩნდი, შენი საქმე წასულია); ან, როგორც ქვიშის კაცზე კომიქსების ავტორი ნილ გეიმანი წერდა:

> ოდესმე გყვარებიათ? საშინელებაა, არა? ის ძალიან უსუსურს გხდით. ის ხსნის თქვენს მკერდს და აღებს თქვენს გულს და ეს ნიშნავს, რომ ვიღაცას შიგნით შეღწევა და ყველაფრის არევა შეუძლია. შენ დაცვას აძლიერებ, გარშემო ჯავშანს იქმნი, რათა არაფერმა შეძლოს შენი ტრავმირება, შემდეგ ერთი სულელი ადამიანი, არაფრით განსხვავებული სხვა სულელი ადამიანისგან, შემოდის შენს სულელურ ცხოვრებაში... შენ მას შენს ნაწილს აძლევ. მას არ უთხოვია. ერთხელ მან რაღაც სულელური გააკეთა, გაკოცა, ან გაგიღიმა და მას შემდეგ შენი ცხოვრება შენ აღარ გეკუთვნის. სიყვარული მძევლებს იყვანს. ის შენში შემოდის. ის შიგნიდან გჭამს და სიბნელეში მტირალს გტოვებს, ამგვარად ისეთი მარტივი ფრაზა როგორიცაა "მოდი უბრალოდ მეგობრებად დავრჩეთ" გარდაიქმნება მინის ნატეხად, რომელიც გულს გიპობს. მტკივნეულია. ეს სულის ტკივილია, ნამდვილი შიგნიდან გამანადგურებელი ტკივილი. მე მძულს სიყვარული."[14]

საბჭოთა რეჟისორმა ანდრეი ტარკოვსკიმ სიცოცხლის უკანასკნელი წლები სტოკჰოლმში, "მსხვერპლშეწირვაზე" (1986) მუშაობაში გაატარა. მას ოფისი მისცეს იმ შენობაში, სადაც ჯერ კიდევ სტოკჰოლმში მცხოვრებ ინგმარ ბერგმანი მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ორ რეჟისორს შორის ურთიერთპატივისცემა არსებობდა, ისინი არ შეხვედრიან, ფრთხილად იცილებდნენ ერთმანეთს, თითქოს შეხვედრა მათი სამყაროების სიახლოვის გამო, ზედმეტად მტკივნეული და წარუმატებელი იქნებოდა. მათ შექმნეს და მისდევდნენ საკუთარ ქცევის კოდექსს.

3. Andante ma non troppo e molto cantabile: სისხლიანი დინება გაღრმავდა

ფატიკური კომუნიკაციის უცნაური შემთხვევა

2005 წლის გარეუბნის ამბოხებებმა საფრანგეთში ათასობით დამწვარი მანქანა და საზოგადოებრივი ძალადობის აფეთქება გამოიწვია. მას ადარებენ 2005 წლის 29 აგვისტოს მომხდარ ქარიშხალ კატრინას შემდეგ ნიუ ორლეანის ძარცვასა და 1968 წლის მაისში, პარიზში მიმდინარე მოვლენებს. განსხვავებების მიუხედავად, ორივე პარალელიდან შეიძლება გაკვეთილის მიღება. პარიზის ხანძრები იყო გამოსაფხიზლებელი იმ ევროპელი ინტელექტუალებისათვის, რომლებიც ნიუ ორლეანის მოვლენებს იყენებდნენ ევროპული საყოველთაო კეთილდღეობის მართვის მოდელის ამერიკულ ველურ კაპიტალიზმზე უპირატესობის ხაზგასასმელად: ნათელი გახდა, ამგვარი მოვლენები საყოველთაო კეთილდღეობის საფრანგეთშიც შესაძლოა მომხდარიყო. ისინი, ვინც ნიუ ორლეანის ძალადობას ევროპული სტილის სოლიდარობის ნაკლებობით ხსნიდნენ, ამერიკელ თავისუფალი ბაზრის მომხრე ლიბერალებზე არანაკლებ შეცდნენ, რომლებიც ახლა ნიშნის მოგებით აღნიშნავენ, რომ ზუსტად მთავრობის უხეში ჩარევა აფერხებს კონკურენციასა და განვითარებას, ხელს უშლის საფრანგეთში მარგინალიზებული იმიგრანტების ეკონომიკურ აღმავლობას (განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისა, სადაც არაერთი იმიგრანტთა ჯგუფი აღმოჩნდა წარმატებულთა შორის).

რაც შეეხება 1968 წლის მაისს, თვალშისაცემია პროტესტერთა შორის უტოპიური პერსპექტივის არარსებობა: თუ 1968 წლის მაისი იყო ამბოხი უტოპიური იდეალით, მაშინ 2005 წლის მღელვარება იყო ძალადობის უბრალო აფეთქება, რაიმე ხედვის ქონაზე პრეტენზიის გარეშე. თუკი გაცვეთილ ფრაზას, "ჩვენ პოსტიდეოლოგიურ ეპოქაში ვცხოვრობთ," აქვს რაიმე აზრობრივი დატვირთვა, ის ამაში მდგომარეობს. პარიზის გარეუბნებში ამბოხებულებს არ გააჩნდათ რაიმე კონკრეტული მოთხოვნა. იყო მხოლოდ ბუნდოვან, არაარტიკულირებულ *რესენტიმენტზე* დაფუძნებული *აღიარების* მოთხოვნა. გამოკითხულთა უმრავლესობა საუბრობდა, რომ მათთვის მიუღებელი იყო მაშინდელი საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ნიკოლა სარკოზის სიტყვები, მიუღებელი იყო, რომ იგი მათ ნაძირალებად მოიხსენებდა. უცნაურ თვითრეფერენტულ "მოკლე ჩართვაში" ისინი აპროტესტებდნენ რეაქციას საკუთარ პროტესტზე. "პოპულისტური გონება" აქ ეჯახება თავის ირაციონალურ ლიმიტს: საქმე გვაქვს ნულოვანი დონის პროტესტთან, ძალადობრივ პროტესტთან, რომელიც არაფერს მოითხოვს. საინტერესო იყო სოციოლოგების, ინტელექტუალების, კომენტატორების ყურება, რომლებიც ცდილობდნენ გაგებასა და დახმარებას. ისინი ძალებს არ ზოგავდნენ, დაენახათ საზრისი პროტესტერთა მოქმედებებში: "ჩვენ რამე უნდა ვიღონოთ იმიგრანტთა ინტეგრაციისათვის, მათი კეთილდღეობისათვის, მათი სამუშაო ადგილებისათვის," ამბობდნენ ისინი – რითაც მეტ ბუნდოვანებას მატებდნენ მიმდინარე მოვლენებს, ვერაფრით ხსნიდნენ ამბოხის ამოცანას.

მიუხედავად იმისა, რომ პროტესტერები იყვნენ არაპრივილიგირებულები და de facto გარიყულები, ისინი არ ცხოვრობდნენ შიმშილის ზღვარზე, არც გადარჩენისთვის იბრძოდნენ. ადამიანები,

რომლებიც უარეს მატერიალურ პირობებში ცხოვრობდნენ, რომ არაფერი ვთქვათ ფიზიკურ და იდეოლოგიურ ჩაგვრაზე, ახერხებდნენ ნათელი, ან ბუნდოვანი მოთხოვნებით პოლიტიკურ ორგანიზაციებად ქცევას. ის ფაქტი, რომ ხანძარში გახვეული პარიზის გარეუბნებში არ იყო პოლიტიკური პროგრამა, თავად საჭიროებს ინტერპრეტირებას. იგი გვამცნობს ჩვენი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ჩიხის შესახებ. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც საკუთარ თავს სიამაყით უწოდებს არჩევანის საზოგადოებას, მაგრამ გაბატონებული დემოკრატიული კონსენსუსის ერთადერთი ალტერნატივა სიბრაზის უმისამართოდ გამოხატვაა. განა ის ფაქტი, რომ სისტემის ოპოზიცია ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალისტურ ალტერნატივად, ან უკიდურეს შემთხვევაში მნიშვნელოვან უტოპიურ პროექტად წარმოჩენას, გამოხატულია მხოლოდ უაზრო ძალადობის აფეთქებებით, არ არის სერიოზული ბრალდება იმ მდგომარეობის მიმართ, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით? სად არის საამაყო არჩევანის თავისუფლება, როდესაც ერთადერთი არჩევანი წესების მიხედვით თამაშსა და თვითგამანადგურებელ ძალადობას შორის არის? მეამბოხეთა აგრესია თითქმის სრულად საკუთარი თავის მიმართ იყო მიმართული. ცეცხლმოკიდებული მანქანები და სკოლები არ ეკუთვნოდა მდიდარ უბნებს, ისინი იმ სოციალური ფენების მძიმე შრომის შედეგი იყო, რომლებსაც თავად პროტესტერები წარმოადგენდნენ.

პარიზის ცეცხლმოკიდებული უბნებიდან შოკისმომგვრელი რეპორტაჟების ხილვის შემდეგ, აუცილებელია პირველ რიგში შევეწინააღმდეგოთ იმას, რასაც მე ჰერმენევტიკულ ცდუნებას ვუწოდებ: ამ აფეთქებებში რაიმე ფარული სიღრმისეული აზრის, გზავნილის ძიება. უფრო რთულია ამ ბუნტების უაზრობის მიღება: მეტი ვიდრე პროტესტის ფორმა, რასაც ლაკანმა უწოდა passage a l'acte – იმპულსური გადასვლა მოქმედებაზე, რომელიც ვერ გადმოიცემა სიტყვით, ან აზრით და შეიცავს აუტანელ ფრუსტრაციას. ეს ადასტურებს არამხოლოდ სამართალდამცავთა უსუსურობას, არამედ იმის არარსებობას, რასაც ფრედრიკ ჯეიმისონმა "კოგნიტური კარტოგრაფირება" უწოდა, საკუთარი სიტუაციის გამოცდილების აზრიან ერთობლიობაში მოქცევის უუნარობა.

პარიზის გარეუბნების მოვლენები არ იყო რომელიმე კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პროტესტის გამომხატველი; კიდევ უფრო ნაკლებად იყო ისლამურ ფუნდამენტალიზმთან დაკავშირებული. ერთ-ერთი პირველი შენობა, რომელიც დაწვეს, იყო მეჩეთი – ამიტომ ისლამურმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა დაუყონებლივ დაგმეს ძალადობა. ბუნტები მხოლოდ *ხილვადობის* ამაღლებას ისახავდა მიზნად. სოციალური ჯგუფი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ შეადგენდა საფრანგეთის ნაწილს და დაკომპლექტებული იყო ფრანგი მოქალაქეებით, მიიჩნევდა, რომ განდევნილი იყო პოლიტიკური და სოციალური სივრციდან, ამიტომ მათ სურდათ საკუთარი არსებობა *ხილული* გაეხადათ ფართო საზოგადოებისათვის. მათი მოქმედებები მათზე მეტყველებდა: თქვენ მოგწონთ თუ არა, ჩვენ აქ ვართ, თქვენ ისე იქცევით, თითქოს ვერ გვხედავთ. კომენტატორებმა ვერ შეამჩნიეს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ პროტესტერები არ ითხოვდნენ რაიმე განსაკუთრებულ სტატუსს როგორც რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის წევრები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ცხოვრების წესის შენარჩუნებას. ამის საპირისპიროდ, მათი მთავარი გზავნილი იყო ის, რომ მათ უნდოდათ და *იყვნენ* კიდეც საფრანგეთის მოქალაქეები, თუმცაღა არ იყვნენ სრულად აღიარებულნი.

ფრანგმა ფილოსოფოსმა ალენ ფილკენკრაუმ გამოიწვია სკანდალი საფრანგეთში, როდესაც ებრაულ გაზეთ *Ha'aretz*-თან ინტერვიუში ამბოხს უწოდა "ანტირესპუბლიკური პოგრომები" და "ეთნიკურ-რელიგიური ჯანყი." იგი ვერ ხედავდა არსს: გამომსვლელთა გზავნილი იყო არა ის, რომ პროტესტერებმა ფრანგული რესპუბლიკური უნივერსალიზმი საკუთარი იდენტობის მტრად მიიჩნიეს, არამედ პირიქით, გზავნილი იყო ის, რომ ისინი მასში არ იყვნენ ჩართულნი, ისინი რესპუბლიკური, სოციალური ხილულ და უხილავ ნაწილებად გამყოფი კედლის მეორე მხარეს აღმოჩდნენ. ისინი არ თავაზობდნენ გადაწყვეტის გზებს და არც მოძრაობა შექმნილა ამ გზების მოსაძიებლად. მათი მიზანი იყო პრობლემის შექმნა, შეტყობინება, რომ ისინი იყვნენ პრობლემა, რომლის იგნორირება აღარ შეიძლებოდა. ამიტომ იყო საჭირო ძალადობა. მშვიდობიანი მარშის მოწყობის შემთხვევაში, მხოლოდ გაზეთის ბოლოს მცირე ჩანაწერს მიიღებდნენ...

ფაქტი, რომ მოძალადე პროტესტერებს უნდოდათ და მოითხოვდნენ სრულფასოვან საფრანგეთის მოქალაქეებად აღიარებას, რა თქმა უნდა, მიანიშნებდა არამხოლოდ მათი ინტეგრაციის წარუმატებლობაზე, არამედ გამოხატული რასისტული ნორმატივების შემცველი ფრანგული ინტეგრაციის მოდელის კრიზისზეც. ფრანგული სახელმწიფო იდეოლოგიის სივრცეში ტერმინი "მოქალაქე" ეწინააღმდეგება "ადგილობრივს" და მიუთითებს მოსახლეობის პრიმიტიულ ნაწილზე, რომელიც ჯერ ზრდასრული არ არის სრული მოქალაქეობის მისაღებად. ამიტომ *აღიარების* მოთხოვნა აგრეთვე ნიშნავს იმ სტრუქტურის უარყოფას, რომელშიც *აღიარება* ხდება შესაძლებელი. ეს არის ახალი უნივერსალური სტრუქტურის შექმნის გამოძახილი.[1]

დავუბრუნდეთ საწყის ეტაპს: ისტორია მუშის შესახებ, რომელიც ურიკებს იპარავდა. ანალიტიკოსები, რომლებიც ურიკების შიგთავსს ამოწმებდნენ და ამბოხებებში ფარულ აზრებს ეძებდნენ, ვერ ხედავდნენ აშკარას. როგორც მარშალ მაკლუენი იტყოდა, ამ შემთხვევაში მედიატორი იყო თავად გზავნილი.

სტრუქტურალიზმის ოქროს ხანაში რომან იაკობსონმა შეიმუშავა "ფატიკური" ფუნქციის გაგება, რომელიც მან დააფუძნა მალინოვსკის ფატიკური ურთიერთობის კონცეპტზე, ენის გამოყენება სოციალური ურთიერთობების დასამყარებლად ისეთი რიტუალიზებული ფორმულების დახმარებით, როგორიცაა მისალმება, ამინდზე საუბარი და სოციალური ურთიერთობის სხვა ფორმალური საშუალებები. ნიჭიერმა სტრუქტურალისტმა იაკობსონმა დაამატა ურთიერთობის შეწყვეტის საშუალებები: როგორც მან თქვა, კომუნიკაციური კონტაქტის გაგრძელების უბრალო სურვილი მიუთითებს ამ კონტაქტის სიცარიელეზე. იგი ახდენს დოროთი პარკერის ციტირებას:

- ესეც ასე, - მან თქვა.

- ესეც ასე, - მიიღო პასუხად - რატომაც არა?

- ნამდვილად.

კონტაქტის სიცარიელე ასრულებს სასარგებლო ტექნიკურ ფუნქციას, ის ამოწმებს სისტემას: "ალო, გესმით ჩემი?" ამგვარად, ფატიკური ფუნქცია ახლოს არის "მეტალინგვისტურ" ფუნქციასთან: ის ამოწმებს მუშაობს თუ არა არხი. გამგზავნი და მიმღები ერთდროულად ამოწმებენ იყენებენ თუ

არა საერთო კოდს.[2] ზუსტად იგივე არ მოხდა პარიზის გარეუბნების ძალადობრივ გამოსვლებში? ძირითადი მესიჯი არ იყო "ალო, გესმით ჩემი?" ტიპის, არხისა და კოდის შემოწმება?

ალენ ბადიუმ აღნიშნა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სოციალურ სივრცეში, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება "უსიტყვო."[3] ამ სივრცეში პროტესტის ერთადერთი ფორმა არის "უაზრო" ძალადობა. ნაცისტური ანტისემიტიზმიც კი რამდენად საზარელიც არ უნდა ყოფილიყო, თავისებურად ხსნიდა სამყაროს: აღწერდა საკუთარ კრიტიკულ სიტუაციას, მიუთითებდა მტერზე, რომელიც იყო "ებრაული შეთქმულება;" ის ასახელებდა მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებებს. ნაციზმი იმგვარად ხსნიდა რეალობას, რომ მის სუბიექტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ "კოგნიტური კარტოგრაფირება," რაც შეიცავდა სივრცეს მათი აზრობრივი მონაწილეობისათვის. შესაძლოა ამაში მდგომარეობს კაპიტალიზმის ერთ-ერთი მთავარი საშიშროება: მიუხედავად იმისა, რომ ის გლობალურია და მთელ მსოფლიოს მოიცავს, ის ემხრობა stricto sensu[13] "უსიტყვო" იდეოლოგიურ კონსტელაციას, ხალხის უმრავლესობას არ აძლევს რაიმე აზრობრივი "კოგნიტური კარტოგრაფირების" საშუალებას. კაპიტალიზმი პირველი სოციალურ-ეკონომიკური წყობაა, რომელიც *დეტოტალიზირებს მნიშვნელობას*: მნიშვნელობის დონეზე ის არ არის გლობალური (არ არსებობს გლობალური "კაპიტალისტური მსოფლმხედველობა," არც "კაპიტალისტური ცივილიზაცია," გლობალიზაციის ფუნდამენტური გაკვეთილი ხაზს უსვამს, რომ კაპიტალიზმი შესაძლოა მოერგოს ნებისმიერ ცივილიზაციას ქრისტიანულიდან ინდურამდე ან ბუდისტურამდე, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე); მისი გლობალური განზომილება შესაძლოა ფორმულირებული იყოს მხოლოდ სიმართლე-მნიშვნელობის-გარეშე დონეზე, როგორც "ნამდვილი" გლობალური საბაზრო მექანიზმი.

პირველი დასკვნა, რომელიც ფრანგული მღელვარებიდან შეგვიძლია გავაკეთოთ არის ის, რომ გამოსვლებზე ორივე, კონსერვატორული და ლიბერალური რეაქცია იყო აშკარად წარუმატებელი. კონსერვატორები, როგორც მოსალოდნელი იყო, ყურადღებას ამახვილებდნენ ცივილიზაციათა დაპირისპირებაზე, კანონსა და წესრიგზე. იმიგრანტებმა ბოროტად არ უნდა გამოიყენონ ჩვენი სტუმართმოყვარეობა. ისინი ჩვენი სტუმრები არიან, პატივი უნდა სცენ ჩვენს ტრადიციებს. ჩვენს საზოგადოებას აქვს უფლება დაიცვას საკუთარი უნიკალური კულტურა და ცხოვრების წესი; არ არსებობს დანაშაულისა და აგრესიული მოქმედების გამართლება; ახალგაზრდა იმიგრანტებს სჭირდებათ არა სოციალური დახმარება, არამედ დისციპლინა და მძიმე შრომა... მემარცხენე ლიბერალები მისდევდნენ საკუთარ მანტრას და საუბრობდნენ მიტოვებულ სოციალურ პროგრამებზე, ინტეგრაციის მცდელობებზე, რომლებმაც დააშორეს იმიგრანტების ახალგაზრდა თაობა რაიმე ნათელ ეკონომიკურ და სოციალურ პერსპექტივებს: ძალადობრივი ქმედებები არის მათი უკმაყოფილების გამოხატვის ერთადერთი გზა. სტალინისეულად რომ ვთქვათ, უაზროა კამათი რომელი რეაქციაა უარესი: ორივე რეაქცია უარესია, იგი შეიცავს ორივე მხრიდან გამოხატულ, ფრანგული მოსახლეობის რასისტულ რეაქციაზე დაფუძნებულ, გაფრთხილებებს რეალური საშიშროებების შესახებ.

პარიზული მღელვარება ისეთი ტიპის ძალადობის გვერდით უნდა დავაყენოთ, რასაც დღეს ლიბერალური უმრავლესობა ჩვენი სიცოცხლისთვის სახიფათოს უწოდებს: პირდაპირი

ტერორისტული თავდასხმები (მათ შორის თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმები). ორივე შემთხვევაში, ძალადობა და მისი საწინააღმდეგო მოქმედება ქმნის სასიკვდილო მანკიერ წრეს, ბადებს რა ძალებს, რომელთა წინააღმდეგაც ისინი ცდილობენ ბრძოლას. ორივე შემთხვევაში, საქმე გვაქვს ბრმა *passages à l'acte*-თან, სადაც ძალადობა უძლურების ბუნდოვან აღიარებას ემსახურება. თუმცა პარიზის ამბოხისაგან განსხვავებით, რაც ძალადობის ნულოვანი საფეხური იყო, ძალადობა, რომელსაც არაფერი უნდოდა, ტერორისტული თავდასხმები რელიგიის მიერ მოწოდებული კონკრეტული *აბსოლუტური* საზრისით არის შესრულებული. მთავარი მიზანი კი თანამედროვე მეცნიერებაზე დაფუძნებული უღმერთო დასავლური ცხოვრების წესია. დღეს, მეცნიერება რელიგიის კონკურენტია, იქიდან გამომდინარე, რომ იგი ორ ღრმა *იდეოლოგიურ* მოთხოვნილებას ემსახურება: იმედს და ცენზურას, რომლებიც ტრადიციულად რელიგიის სფეროები იყო. ჯონ გრეის მიხედვით:

> მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია ერეტიკოსების გაჩუმება. დღეს ის ერთადერთ ინსტიტუტად გვევლინება, რომელსაც ავტორიტეტზე შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია. წარსულში, ეკლესიის მსგავსად, მას აქვს ძალაუფლება გაანადგუროს, ან მარგინალიზება გაუკეთოს დამოუკიდებელ მოაზროვნეებს... აზროვნების თავისუფლების მომხრე ადამიანის გადმოსახედიდან ეს მდგომარეობა შესაძლოა სავალალო იყოს, თუმცა უეჭველად არის მეცნიერების მიმზიდველობის მთავარი წყარო. მეცნიერება ჩვენთვის გაურკვევლობიდან გასაქცევია, გვპირდება და გარკვეულ წილად ასრულებს კიდეც აზროვნების თავისუფლების სასწაულს, მაშინ როდესაც ეკლესიები ეჭვების ტაძრებად იქცა.[4]

საუბარია მეცნიერებაზე, როგორც სოციალურ ძალასა და იდეოლოგიურ ინსტიტუტზე: ამ ეტაპზე, მისი ფუნქცია არის თავდაჯერებულობის განმტკიცება, მოგვევლინოს ათვლის წერტილად, რომელსაც შესაძლოა დაეყრდნო და მიიღო იმედი. ახალი ტექნიკური გამოგონებები დაგვეხმარება დაავადებების დამარცხებაში, სიცოცხლის გახანგრძლივებაში და ა.შ. ამ განზომილებაში მეცნიერება არის ის, რასაც ლაკანი უწოდებდა "საუნივერსიტეტო დისკურსს" მისი წმინდა გაგებით: ცოდნა რომლის "სიმართლე" არის მთავარი სიგნიფიკატი (master-signifier), ანუ ძალაუფლება.[5] მეცნიერებამ და რელიგიამ გაცვალეს ადგილები: დღეს მეცნიერება უზრუნველყოფს დაცვას, რომლის გარანტორი ადრე რელიგია იყო. ამ საინტერესო გარდაქმნის შემდეგ, რელიგია გახდა ერთ-ერთი ადგილი, საიდანაც შესაძლოა დღევანდელი საზოგადოების კრიტიკა. იგი წინააღმდეგობის ერთ-ერთი ადგილსამყოფელი გახდა.

კაპიტალიზმის "უსიტყვო" ხასიათი დაკავშირებულია მოდერნულ ეპოქაში სამეცნიერო დისკურსის ჰეგემონიურ როლთან. ჰეგელი გამოყოფდა ამ ნიშანს, აღნიშნავდა, რომ ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისათვის ხელოვნება და რელიგია აღარ არის ის, რაც იწვევს აბსოლუტურ მოკრძალებას: ჩვენ შეგვიძლია აღვფრთოვანდეთ, მაგრამ მუხლს აღარ ვიდრეკთ მათ წინაშე, ჩვენი გულები მათთან არ არის. ამგვარ პატივისცემას მხოლოდ მეცნიერება იმსახურებს, კონცეპტუალური ცოდნა. მხოლოდ ფსიქოანალიზს ძალუძს მოხაზოს თანამედროვეობის გამანადგურებელი მოქმედებების კონტურები - სამეცნიერო დისკურსის ჰეგემონია გაერთიანდა კაპიტალიზმთან. არ არის გასაკვირი, რომ თანამედროვეობამ მიგვიყვანა ეგრეთწოდებულ "აზრობრივ კრიზისთან," ანუ ჭეშმარიტებასა

და მნიშვნელობას შორის კავშირის, ან იგივეობის გათიშულობასთან.

ევროპაში, სადაც მოდერნიზაცია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა, იყო საკმარისი დრო ცვლილებებთან შესაგუებლად, *Kulturarbeit*-ის დახმარებით, მისი გამანადგურებელი ძალის შესამსუბუქებლად. მუდამ ჩნდებოდა ახალი სოციალური ნარატივები და მითები. ზოგიერთმა სხვა საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი მუსლიმურმა პირდაპირ გამოსცადა ეს ზემოქმედება, რაიმე დამცავი ფარის, ან დროითი რესურსის გარეშე. შედეგად გაცილებით დაზარალდა მათი სიმბოლური სისტემა. მათ დაკარგეს საკუთარი (სიმბოლური) საფუძველი და არ ჰქონდათ დრო ახალი (სიმბოლური) წონასწორობის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში, უნდა გაგვიკვირდეს თუ არა, რომ ზოგიერთმა საზოგადოებამ სრული კრახის ასარიდებლად ფუნდამენტალიზმს შეაფარა თავი?

რაც შეეხება ფუნდამენტალისტების "ტერორისტულ" თავდასხმებს, პირველ რიგში, თვალში გვხვდება იდეის შეუსაბამობა, დონალდ დეივიდსონმა სისტემურად შეიმუშავა რომ, ადამიანის მოქმედება რაციონალურია, ინტენციურია და მოქმედი პირის გადმოსახედიდან ახსნადია.[6] ამგვარი მიდგომა ხსნის "რაციონალურობის" თეორიის რასისტულობას: მიუხედავად იმისა, რომ მათი მიზანი *უცხოს* შინაგანი გაგებაა, საბოლოო ჯამში, ისინი *უცხოს* ყველაზე სასაცილო რწმენებს მიაწერენ, მათ შორის სამოთხეში 400 მომლოდინე "ქალწული" არის რაციონალური ახსნა იმისა, თუ რატომ არის მორწმუნე მზად, თავი აიფეთქოს. *უცხოს* 'ჩვენიანად" ქცევის მცდელობაში ისინი მას სასაცილოსა და უცნაურს ხდიან.[7]

ნაწყვეტი კორეის ომის დროს, ჩრდილოეთ კორეის მიერ გარვცელებული პროპაგანდისტული ტექსტიდან:

> გმირი კანგ ჰო-იუნგი კამაჰ ჰილის ბრძოლაში ოთხივე კიდურში მძიმედ დაიჭრა, შედეგად იგი პირში ხელყუმბარით შეგორდა მტრის შუაგულში და მტერი გაანადგურა, თან იძახდა: "ჩემი ხელ-ფეხი აღარ მაქვს. თქვენ მიმართ ჩემი სიძულვილი კი ათასჯერ გაიზარდა. მე თქვენ განახებთ კორეის მშრომელთა პარტიის წევრის დაუოკებელ ბრძოლის სურვილს და თავდადებას პარტიისა და ბელადის მიმართ!"[8]

მარტივია ამ აღწერის არარეალურ პერსონაჟზე გაიცინო: როგორ შეეძლო უბედურ კანგს ლაპარაკი, თუკი პირით ყუმბარა ეჭირა? გაცხარებულ ბრძოლაში საიდან ჰქონდა ამდენი დრო წინასწარ მომზადებული სიტყვის წარმოსათქმელად? მაგრამ იქნებ შეცდომა ამ მონაკვეთის, როგორც რეალურის აღქმაშია, რის შედეგადაც კორეელებს უაზრო წარმოდგენები მიეწერებათ? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, იქნებ ეს შეცდომა არის იმ ანთროპოლოგების შეცდომის ანალოგი, რომლებიც არწივის, როგორც წინაპრის მადიდებელ "პრიმიტიულ" აბორიგენებს მიაწერდნენ რწმენას, რომ ისინი მართლაც არწივის შთამომავლები იყვნენ? ნუთუ არ არის შესაძლებელი ამ ნაწყვეტის (რომელიც პათოსით ოპერას მოგვაგონებს) წაკითხვა ისე, თითქოს ვაგნერის "ტრისტანი და იზოლდას" III აქტს ისმენ, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი ტრისტანი თითქმის ერთი საათი ასრულებს არიას, ვინ არის მზად მიაწეროს ვაგნერს იმის რწმენა, რომ ეს შესაძლებელია? თუმცა, მომღერალი ტრისტანის სიკვდილი გაცილებით რთულია ვიდრე ის, რაც უბედურმა კანგმა

გააკეთა... იქნებ სჯობს წარმოვიდგინოთ ტანკის ქვეშ შეგორებამდე არიის მომღერალი კანგი, რომელიც ამ ჭეშმარიტად საოპერო მომენტში, გაჩერებულ დროში, საკუთარ სამოქმედო გეგმას განიხილავს.

შენიშვნები

შესავალი

1. Maximilien Robespierre. *Virtue and Terror*. London: Verso Books, 2007. p. 47.

2. უმჯობესია პრიმო ლევის უკანასკნელი წიგნს ქიმიური ელემენტების შესახებ (Primo Levi. *The Periodic Table*. New York: Schocken, 1984) ფუნდამენტური შეუძლებლობის სირთულეების გათვალისწინებით გაეცნოთ – გადმოსცე მდგომარეობა, ცხოვრების ისტორია უწყვეტი ნარატივის სახით: ამის საშუალებას არ აძლევდა ჰოლოკოსტის ტრავმა. აქედან გამომდინარე, ლევისათვის ერთადერთი გზა, რათა საკუთარი სიმბოლური სამყაროს ნგრევა თავიდან აერიდებინა, არასიმბოლურ რეალობაში დასაყრდენის პოვნა იყო, ქიმიური ელემენტების კლასიფიკაციის რეალობაში (რა თქმა უნდა, მის ვერსიაში კლასიფიკაცია ცარიელი ჩარჩოს როლს ასრულებდა: თითოეული ელემენტი მისი სიმბოლური კავშირებით იყო ახსნილი).

3. "ოსვენციმის შემდეგ პოეზიის წერა არის ბარბაროსობა" (Theodor Adorno. "Cultural Criticism and Society," in Neil Levi and Michael Rothberg (eds.), *The Holocaust: Theoretical Readings*, New Brunswick: Rutgers University Press, 2003. p. 281)

4. იხ.: ჟან-პოლ სარტრი. *ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია.* ჯეოპრინტი, 2006.

5. აქ: სიამოვნების მაძიებელი.

თავი 1

1. იხ.: Lesley Chamberlain. *The Philosophy Steamer*. London: Atlantic Books, 2006. pp. 23-24. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებ, სამართლიანად მივიჩნევ რომ ანტიბოლშევიკი ინტელექტუალების გაძევებას.

2. Ibid., p.22

3. Walter Benjamin, “Critique of Violence” in Selected Writings, Vol. 1, 1913-1926, Cambridge, MA: Harvard University Press, 1996.

4. როდესაც პალესტინელები ისრაელის მოთხოვნას შეწყვიტონ ტერორისტული თავდასხმები, პასუხობენ "რას იტყვით თქვენ მიერ ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე?" არ არის ისრაელის პასუხი "ნუ ცდილობთ თემის შეცვლას!"?

5. "იდეალისტური ფილოსოფიური თეორია, რომლის მიხედვითაც რეალურად არსებობს მხოლოდ ერთი სუბიექტი - "მე", მთელი დანარჩენი სამყარო კი შექმნილია ადამიანის ცნობიერების წარმოდგენათა მიერ;" ჭაბაშვილი, მიხეილ. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი.* განათლება, 1989.

6. იხ.:Etienne Balibar. La violence: idéalité et cruauté. La crainte des masses. Paris: Editions Galilee, 1997.

7. ამაში მდგომარეობს "ეთიკის კომიტეტთა" შეზღუდვა, რომელიც დაუოკებელ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებასთან საბრძოლველად ყველგან გვევლინება: მათი კარგი ზრახვები, ეთიკური მზრუნველობა და ა.შ. ისინი უგულვებელყოფენ ბაზისურ "სისტემურ" ძალადობას.

8 იხ.: http://www.masturbate-a-thon.com

9 იხ.: Alain Badiou.Logiques des. mondes. Paris: Editions du Seuil, 2006.

10. იხ.: მონადოლოგია, ჭაბაშვილი, მიხეილ. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. განათლება, 1989.

11. იხ.: Alain Badiou.Logiques des. mondes. Paris: Editions du Seuil, 2006.

12. მთავარი სიგნიფიკატის ამ კონცეფციის გასაცნობად იხ.: Jacques Lacan, *The Other Side of Psychoanalysis*, New York: Norton, 2006.

13. Badiou, Logiques des mondes, p. 443.

14. მაგალითად, Michel Houellebecq, *The Possibility of an Island*, New York: Knopf, 2006.

15. Nicholas Sabloff. "Of Filth and Frozen Dinners." *The Common Review*, Winter 2007. p. 50.

16. Bertolt Brecht, "Verhoer des Guten," in *Werke*, Vol. 18, *Prosa* 3, Frankfurt am Main: Suhrkamp Verlag, 1995, pp. 502-503.

თავი 2

1. ბიოპოლიტიკის გასაცნობად იხ.: Giorgio Agamben. *Homo sacer*. Stanford: Stanford University Press, 1998; პოსტპოლიტიკის გასაცნობად იხ.: Jacques Ranciere. *Disagreement*. Minneapolis: University of Minnesota Press, 1998.

2. ასევე იხილეთ Agamben, Homo Sacer.

3. Sam Harris. *The End of Faith*. New York: Norton, 2005. p. 199.

4. Ibid., pp. 192-93.

5. Ibid., p. 197.

6. ეპიგრაფი "მისაღებ ოთახში დიალოგები ახლო აღმოსავლეთზე", ციტ: WendyBrown. *Regulating Aversion*. Princeton: Princeton University Press, 2006.

7. David Remnick. *Lenin's Tomb.* New York: Random House, 1993. P. 11.

8. ზუსტად ამიტომ ბოროტების საკითხით დაინტერესებულმა ადამიანმა უნდა წაიკითხოს Claudia Koonz, *The Nazi Conscience* (Cambridge, MA: Belknap Press, 2003), დეტალური მოხსენება ნაცისტების ეთიკური დისკურსის შესახებ, რაც მათი დანაშაულის დასაბუთებისათვის გამოიყენებოდა.

9. Theodor W. Adorno and Walter Benjamnin.*The Complete Correspondence* 1928-1940. Cambridge, Ma:

Harvard University Press, 1999. p. 252

10. იხ.: Martin Amis. *All that survives is love.* Times 2,1 June 2006. p. 45.

11. Immanuel Kant, "The Conflict of Faculties," in Political Writings, Cambridge: Cambridge University Press, 1991, p. 182.

12. ლათინური ფრაზა - შეცვალო მხოლოდ ის, რაც ცვლილებას საჭიროებს.

13. იხ.: Sloterdijk, Zorn und Zeit, p. 134.

14. იხ.: http://thinkexist.com/quotes/Neil_Gaiman/

თავი 3

1. აქ, ისევე როგორც ლოს-ანჯელესის (ვიდეოჩანაწერის გავრცელების შემდეგ, სადაც პოლიციელები როდნი კინგს სცემდნენ) არეულობებისა და ჰოლივუდური ფილმების კავშირის შემთხვევაში, მომხდარი უკვე იყო დეკადის წინ ნანახი და ემოციურად გადატანილი – გავიხსენოთ *სიძულვილი* (მათიე კასოვიცი, 1995), შავ-თეთრი ფილმი ფრანგული გარეუბნების ინტიფადაზე, მასში გამოსახულია სასტიკი ძალადობა არასრულწლოვანებზე, პოლიციის აგრესია და სოციალური ჩაგვრა პარიზულ გარეუბნებში. ამ დაპირისპირებაში შეუძლებელია პოლიტიკური აგენტის ორგანიზება – ერთადერთი გადარჩენა რაიმე კულტურის ჩამოყალიბებაშია, მაგალითად როგორც გარეუბნის პანკ კულტურაა.

2. იხ.: Roman Jakobson, "Closing Statement: Linguistics And Poetics," in T.A. Sebeok (ed.), *Style in Language*, New York: Wiley, 1960, pp. 350-77.

3. Alain Badiou. "The Caesura of Nihilism." Lecture delivered at the University of Essex. September 10, 2003.

4. Gray, *Straw Dogs*, p.19.

5. "საუნივერსიტეტო დისკურის" გასაცნობად იხ.: Lacan, *The Other Side of Psychoanalysis*.

6. იხ.: Donald Davidson. *Essays on Actions and Events*. Oxford: Oxford University Press, 1980.

7. Jean-Pierre Dupuy. *Avions-nous oublie le mal? Penser la politique après le 11 septembre*, Paris: Bayard, 2002.

8. ციტ.: Bradley K. Martin. *Under the Loving Care of the Fatherly Leader.* New York: Thomas Dunne Books, 2004. p. 85.